ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 2 აგვისტო, 2023 №150 (9186) ფასი: 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუსეთში ქართველი ბიზნესმენი ტრაგიკულად დაიღუპა



გვ.5

# „შემოდგომაზე ახალი პოლიტიკური ძალა გამოჩნდება – ყიფიანი თავისი გუნდით“





გვ.3



## რას იზამენ გახარია, მელია, „ლელო“?!

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



გვ.2

## „თუ ჩინეთმა ჩვენთან ფეხი შემოყო, პოლიტიკური ნაწილის მართვასაც შეძლებს“

მამუკა გამყრელიძე: „ჩინელები აპირებენ კრედიტების გაცემას ქართულ პროექტებზე. კრედიტის გაცემა არის დახვრეტის ტოლფასი. დრაკონული პირობები აქვთ“



გვ.4

## გიგა ბუკია: „ხელისუფლებას ვურჩევდი, სანამ პირს გააღებს, კარგად განქვრიტოს, რას ლაპარაკობს“

## დათო ლორთქიფანიძე: „ „ნაცები უკან არაფერზე იხევენ, საქართველოში დაძაბულობის კერა რომ გააჩინონ“



გვ.3

## ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოს და ყაზახეთის ამბიციური გეგმები განვითარების ახალი ერის დასაბამია“



გვ.4

1993230720223

5 „არასრულწლოვანს საქმროსთან სქესობრივი აქტისას ფოტო გადაუღო, დაემუქრა და გააუპატიურა“

2 მიხეილ სააკაშვილი: „ახლა შეტევის დროა! მთავარი რუსული გემი ჯერ კიდევ გასაშვები გვყავს!“

5 „მირტყამდნენ ნეკნებისა და ბარძაყის მიდამოებში“

6 რუსეთ-უკრაინის ფრონტზე გრანდიოზული მოვლენები დაიწყება?!

# „თუ ჩინეთმა ჩვენთან ფეხი შემოყო, პოლიტიკური ნაწილის მართვასაც შეძლებს“

## მამუკა გამყრელიძე: „ჩინელები აპირებენ კრედიტების გაცემას ქართულ პროექტებზე. კრედიტის გაცემა არის დახვრეტის ტოლფასი. დრაკონული პირობები აქვთ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

*– ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? რა მოგვცა გემების გაძევებამ ბათუმის პორტიდან? ბევრი თვლის, რომ ეს კარგია, აღარ შემოვლენ, ბევრს ვერ გაგვიბედავენ. აღარ შემოვა ბათუმის პორტში რუსული გემი. იმას რა ვუყოთ, ვინც უკვე შემოსულია და დამკვიდრებული? ვინც ხმელეთითა და საჰაერო სივრცით შემოდის?*

– საკითხი არის ძალიან მარტივად. უნდა გააპროტესტო პროვოკატორების შემოსვლა. ეს განვიხილოთ, როგორც პროვოკაცია.

*– ეს იყო პროვოკაცია?*

– დიახ, ნებისმიერი ასეთი ქცევა არის პროვოკაცია. თუ ამ პროვოკაციას შენი ხელისუფლება და შენი მოქალაქეები მხარს უჭერენ, მაშინ რა აზრი აქვს იმ 200 ადამიანის გამოსვლას და პროტესტს?! თუნდაც ათასი იყოს. ამ შემთხვევაში პროტესტი მიმართული უნდა იყოს მთავრობის წინააღმდეგ.

გასაგებია, რომ წინა ხელისუფლებამ უდიდესი შეცდომა დაუშვა, როდესაც ცალმხრივად დატოვა უვიზო მიმოსვლა. ეს იყო სისულელის ტოლფასი შეცდომა. რა თქმა უნდა, ახალმა ხელისუფლებამ არ გამოასწორა ეს შეცდომა და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. გამოიტენა საქართველო რუსებით! კი, ბატონო, შემოვიდნენ, მაგრამ კონტროლი ხომ უნდა არსებობდეს?! უვიზო შემოსვლა ნიშნავს უკონტროლო შემოსვლას. საზღვარზე არ არის საკმარისი კონტროლი.

*– ეს იყო პროვოკაცია და ხომ შეიძლება ჩვენი საზოგადოება წამოგებულიყო ამ პროვოკაციაზე? მართალია, პოლიციას ლანძღავენ, მაგრამ რა მოხდებოდა, რომ მიეშვათ ეს ხალხი?*

– კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ამ სიტუაციაში პოლიციელის გალანძღვის, პოლიცია აკეთებს თავის საქმეს. მას მოვალეობაში უწერია, რომ უნდა დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი. მორჩა, წერტილი! აქ არ არის ორი აზრი! ვთქვათ, მივუშვით გასალახად, დავფიქრდეთ, ამას რა მოჰყვება. დიდი ბოდიში და ამ დროს ბულვარი გამოტენილია რუსებით, იმათ იქ ყოფნას რატომ არ აპროტესტებ?! მეტსაც გეტყვით, მე მყავს ბათუმელი ნაცნობი, რომელმაც მითხრა, რომ იქ ხალხი იდგა და იძახდა, დაანებეთ თავი, რა გინდათ ამ რუსებთან, მაგათით გვიდგას სულიო.



„მე დასავლეთის მხარეს გადაგდებულ ბურთსაც ვხედავ. მოდით და თქვენც გააკეთეთ რაღაცა. დასავლეთი უფრო უნდა გააქტიურდეს, საჭიროა უფრო მკვეთრი ნაბიჯები და განცხადებები“

*– მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს ტურიზმით. მათზე დამოკიდებული გახადა სახელმწიფომ.*

– გეთანხმებით. აჭარაში ტურისტული სეზონი გრძელდება მაქსიმუმ სამი თვე. ამ სამი თვის შემოსავლებით ცხოვრობენ მერე მთელი წელი.

*– თავად საზოგადოებაში წარმოქმნის ეს დაპირისპირებას.*

– ჩვენ ვუპირისპირდებით საკუთარ მოსახლეობას. როდესაც საქმე ეხება პირად შემოსავლებს, აი, მაშინ იწყება მძიმე დაპირისპირება. ზუსტად ასე მოხდა ნაციონალების დროს. როდესაც ისინი შეეხნენ მოსახლეობის პირად ქონებას, შემოსავლებს, სწორედ მაშინ დაიწყო მწვავე აქციები და მაშინ გამწარდა ხალხი. ამ შემთხვევაში ოპოზიცია კარგავს ამომრჩეველს. ამ აქციას საერთოდ არ უნდა გაკარებოდა ოპოზიცია. ეს უნდა ყოფილიყო ხალხის პროტესტი.

*– გასაგებია, რომ რუსეთი გამუდმებით პროვოკაციებზე მიდის, მაგრამ როგორ მოქმედებს ჩვენი ხელისუფლება. საკუთარი მოსახლეობისთვის ქაჯების ძახილი უშველის საქმეს? რა ღონისძიებები უნდა გაატაროს სახელმწიფომ, რომ მსგავსი პროვოკაციები თავიდან აირიდოს?*

– ხელისუფლება გამოდის მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ამომრჩევლის ინტერესებიდან. როგორც ჩანს, ისინი დარწმუნებულები არიან იმაში, რომ მისი ამომრჩეველი უფრო მეტია, ვიდრე ოპოზიციის. როდესაც მთავრობები, ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში ხედავენ, რომ მათი არჩევა შემდგომ არჩევნებზე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, მაშინ ისინი ასე თავხედურად საკუთარ მოსახლეობას არ ექცევიან. აუცილებლად ითვალისწინებენ მათ განწყობებს. ამ წუთას ისინი სრულიად დარწმუნებულები არიან იმაში, რომ არჩევნებს მშვიდად მოიგებენ. როგორც ჩანს, მათი ამომრჩეველი კმაყოფილია და მათი ამომრჩეველი მეტია, ვიდრე ოპოზიციის ამომრჩეველი.

*– რადგან არჩევნების თემას შევეხეთ, რას იტყვით ოპოზიციაზე? საზოგადოება ხედავს, რომ ოპოზიცია ვერ თანხმდება ვერაფერზე, ერთმანეთს ლანძღავენ. გაერთიანება არ გამოდის. როგორ მივალთ 2024-მდე?*

– თუ ასე გაგრძელდება, ჩემი აზრით, „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს. გამარჯვებაზე აღარაფერს ვამბობ, ბრძოლას დაიწყებენ კონსტიტუციური უმრავლესობისთვის. განსაკუთრებით ის ახალი კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც, იმ პარტიების ხმები, ვინც ვერ გადალახავს 5%-იან ბარიერს, მათი ხმები გადანაწილდება გამარჯვებულ პარტიებზე. გამარჯვებული კი იქნება „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. ასეთ შემთხვევაში, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ „ქართული ოცნება“ მიიღებს კონსტიტუციურ უმრავლესობას. ამ ეტაპზე სხვა რეალობას ვერ ვხედავ. ბლოკებს არ უშვებენ, ბარიერი მაღალია, რომ იტყვიან, დრაკონული პირობებია.

*– ასეთ პირობებში ოპოზიცია არ უნდა გაერთიანდეს?*

– უნდა გაერთიანდნენ, მაგრამ ვერ ახერხებენ, რადგან ამბიციები ახრჩობთ. ყველას პირველობა უნდა და ყველას პარლამენტში ჯდომა უნდა. ასე არაფერი გამოვა.

*– ბატონო მამუკა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა, რას ნიშნავს ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა? სერიოზული აზრთა სხვადასხვაობაა, ზოგი აღტკინებულია. რას იტყვით თქვენ?*

– აღტკინებაც და აღშფოთებაც გამოიწვია საკითხის უცოდინრობამ. სანამ სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმების ტექსტი დაიდებოდა.

*– მოგწონდათ ეს ყველაფერი?*

– ძალიან მომწონდა და ვთვლიდი, რომ არაფერი ცუდი ამაში არ იყო, სანამ ტექსტს არ გავეცანი.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# გიორგი ვაშაძე „ქართულ ოცნებას“ — „საბოტაჟს უცხადებთ ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს და ასრულებთ რუსულ დავალებას“

– დღენიადაგ საბოტაჟს უცხადებთ ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს და ასრულებთ რუსულ დავალებას, ამიტომაც არც ანაკლია გინდათ, არც ლაზიკა გინდათ, არც ღრმაწყლოვანი პორტი გინდათ, – ამის შესახებ „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა, გიორგი ვაშაძემ განაცხადა, რითაც „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის მიერ ანაკლიის პორტის შესახებ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა.

გიორგი ვაშაძის განცხადებით, „ქართული ოცნება“ რუსეთის ნებართვას ანაკლიის პორტის აშენებასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთ შემთხვევაში მიიღებს, თუ იგი რუსეთის საკუთრებაში იქნება.

– ირაკლი კობახიძეს მინდა გამოვეხმაურო. ჩვენ ხელახლა წარვადგინეთ ის უზარმაზარი კონცეფცია, რომელიც ფაქტობრივად უკვე რეალიზებაში იყო ჩაშვებული, ლაზიკა-ანაკლიის პროექტის სახით. სწორედ თქვენი მტრული დამოკიდებულებიდან გამომდინარე, თქვენ გააჩერეთ ეს პროექტი. ეს იყო რუსული დავალება, რომელიც თქვენ პირნათლად შეასრულეთ. ლაზიკა-ანაკლიის პროექტი ითვალისწინებდა ღრმაწყლოვან პორტს, საწარმოო ცენტრებს, ლოჯისტიკურ ცენტრს, ტურისტულ ზონას, ფინანსურ-ტექნოლოგიურ ჰაბს. 300.000 მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილი იქნებოდა ახლა საქართველოში, შექმნილი რომ არა თქვენი მავნებლური, რუსული დავალებით შესრულებული ქმედებები.

ეს ჩინეთიც, ყველაფერი ბლეფი მგონია აბსოლუტურად იმიტომ, რომ დავალება გაქვთ მიღებული რუსეთის მხრიდან, რომ რუსეთის



ალტერნატიული მარშრუტი არ უნდა შეიქმნას. უკრაინაში ომის შემდეგ რუსეთი მოექცა სანქციებში და მთელი ეს ტვირთნაკადი შეიძლება წამოვიღოთ საქართველოსკენ, 38 ტრილიონის ეკონომიკები დავაკავშიროთ ერთმანეთს. რას აკეთებთ თქვენ? დღენიადაგ საბოტაჟს უცხადებთ ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს და ასრულებთ რუსულ დავალებას, ამიტომაც არც ანაკლია გინდათ, არც ლაზიკა გინდათ, არც ღრმაწყლოვანი პორტი გინდათ. ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება მოსკოვში თქვენმა ბოსებმა დაუშვან ამის მშენებლობა, თუ ეს რუსებს ეკუთვნით, ეს კი არ მოხდება საქართველოში.

ჩვენ ანაკლიასაც ავაშენებთ, ლაზიკასაც ავაშენებთ, სამუშაო ადგილებსაც შევქმნით, აბრეშუმის გზასაც გავმართავთ, ოღონდ ამ ყველაფერს გავაკეთებთ უთქვენოდ. აუცილებლად გავიმარჯვებთ და თქვენ როცა არ იქნებით, რუსული დავალებების შემსრულებლები, ეს ყველაფერი მოხდება გაცილებით სწრაფად, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

# მიხეილ სააკაშვილი: „ახლა შეტევის დროა! მთავარი რუსული გემი ჯერ კიდევ გასაშვები გვყავს!“

– მე ვამაყობ ჩემი ბათუმელებით. ბათუმი ღირსებას რუბლებზე არ ყიდის! – ასე ეხმაურება საკრუიზო ლაინერის „ასტორია გრანდეს“ შესვლასთან დაკავშირებით ბათუმში ჩატარებულ საპროტესტო აქციას საქართველოს მესამე პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი.



როგორც მიხეილ სააკაშვილი „ფეისბუქის“ გვერდზე წერს, მთავარი რუსული გემი ჯერ კიდევ გასაშვებია.

– რუსი ბოგანოები საქართველოს ვერ დაეპატრონებიან, თუნდაც იქამდე, სანამ მე, ცალკე აღებულ ქართველს, პირში სული მიდგას. ახლა შეტევის დროა! მთავარი რუსული გემი ჯერ კიდევ გასაშვები გვყავს! – წერს სააკაშვილი „ფეისბუქზე“.

# ლევან ანთაძე: „ყველა მოძალადე პოლიციელი უნდა დაისაჯოს, „გრუზიად“ რომ არ გადავიქცეთ“

– ყველა მოძალადე პოლიციელი უნდა დაისაჯოს, „გრუზიად“ რომ არ გადავიქცეთ, – ამის შესახებ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრმა, ლევან ანთაძემ ბრიფინგზე განაცხადა.



როგორც ლევან ანთაძემ აღნიშნა, მოქალაქეებისთვის დაზიანებების მიყენების შესახებ ბრძანება გუშინ პოლიციას სწორედ რუსულმა „ოცნებამ“ დაავალა. ამასთან, დაკავებული ილია ანთაძის მამა ყველა იმ პოლიციელის დასჯას ითხოვს, ვინც გუშინ ბათუმში მოქალაქეებზე ძალადობდა.

– ფაქტი ერთია, აქ ბრძანება ჰქონდათ ამ რუსი „ქოცებიდან“, რომ რაც შეიძლება მძიმე დაზიანებები მიეყენებინათ დაპატიმრებულებისთვის, ამას მაქსიმალურად ასრულებდნენ ჩვენი, აჭარის მილიციის ზონდერები, ხელმძღვანელები.

სპეცრაზმი ჰყავდათ შემოყვანილი, რომელთა საქმე ადამიანების დარბევა კი არა, კრიმინალთან ბრძოლაა.

ხელმძღვანელიდან დაწყებული, ბოლო პოლიციელამდე, ყველა ვინც ძალადობდა, ყველა უნდა დაისაჯოს, რომ არ გადავაქციოთ საქართველო „გრუზიად“ და ღორების ქვეყნად, – განაცხადა ლევან ანთაძემ, რომლის კომენტარსაც პარტიის პრესსამსახური ავრცელებს.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – ხოხო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „შემოდგომაზე ახალი პოლიტიკური ძალა გამოჩნდება — ყიფიანი თავისი გუნდით“

## რას იზამენ გახარია, მელია, „ლელო“?!

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, სოზარ სუბარი წინადადებით გამოდის, რომ პარლამენტში ნაციონალური მოძრაობის დანაშაულებრივი საქმიანობის შესწავლისა და გასამართლების პროცესი დაიწყოს. ასევე, კობახიძე იმედოვნებს, რომ 2024 წელს ნაცებს ხალხი დაასრულებს. მხოლოდ მათ მიიჩნევენ კონკურენტად?***

– რა თქმა უნდა! „ქართული ოცნება“ ცდილობს, საზოგადოება დააჯეროს, რომ მხოლოდ ნაციონალური მოძრაობაა მთავარი კონკურენტი. სხვა, უბრალოდ, ბუნებაში არ არსებობს. ეს ცხადია, მათთვის ძალიან მომგებიანი პოზიციაა. როდესაც ნაციონალები და „ოცნება“ ერთი-ერთზე რჩებიან, მაშინ ყოველთვის „ოცნება“ იმარჯვებს. ასე იყო ყველა არჩევნების დროს და ასე უნდათ ახლაც.

***– გამოუვათ?***

– ცდილობენ, ყველა ლონეს ხმარობენ, რომ ეს ასე იყოს, ასე უფრო მარტივად მოიპოვებენ გამარჯვებას. 10 წელია, მე-11 წელი დაიწყო, რაც „ოცნება“ ხელისუფლებაშია და ახლა გაახსენდა სოზარ სუბარს, რომ ნაციონალების დანაშაულების პოლიტიკური შეფასება უნდა გააკეთონ?! ამისთვის ხომ ჰქონდათ ყველა ბერკეტი ხელთ, მაგრამ მაშინ ეს არაფერში სჭირდებოდათ.

ხალხი ისედაც უჭერდა მხარს და არ იყო საჭირო ზედმეტი გარჯა. ახლა, როდესაც სერიოზული პრობლემა დაუდგათ, ყველაფერს ცდილობენ. ამიტომაც საუბრობენ ნაცების გასამართლებაზე, თუ საქმეების გამოძიებაზე. ეს ყველაფერი კეთდება არა იმდენად ნაციონალური მოძრაობის გასაქრობად, რამდენადაც მთელი აქცენტის აქეთკენ გადასატანად. ყურადღების ცენტრში იქნებიან ისევ ნაცები და ისევ „ქოცები“. მთელი მედიაც სწორედ ამ ამბით იქნება დაკავებული და არა იმ პრობლემებით, რომლითაც მთელი ქვეყანაა მოცული. ეს ჩვეულებრივი პიარსვლაა.

„ქართული ოცნება“ ნაციონალურ მოძრაობას 11 წლის თავზე ვერაფერს დააკლებს დანაშაულებრივი საქმეების გამოძიებაზე მუქარით. ეს გავლენას ვერ მოახდენს ვერც მათ რეიტინგზე. ვერ შეძლებენ, რომ ნაციონალურ მოძრაობას 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვა გაუჭირდეს. ამისთვის არ აკეთებენ ამას. ამას სხვა მიზნით აკეთებენ.

***– მით უფრო, პოლიტიკურ არენაზე მესამე ძალის გამოჩენა არც ერთს აწყობს და არც მეორეს.***

– რასაკვირველია. მესამე პოლიტიკურ სპექტრში მიმდინარე პროცესების სრულ იგნორირებას მოახდენენ. ეს არის მიზანიც. არადა, თუ მესამე ძალა გამოჩნდება ან სიახლის სახით ან უკვე არსებული წვრილ-წვრილი პარტიების გაერთიანებით, მაშინ მათ აქვთ შანსი, 5-პროცენტიანი ბარიერი გადალახონ. ყველა ლონეს ხმარობენ, რომ მესამე ცენტრის ფორმირება არ დაუშვან.

***– როგორ ფიქრობთ, რატომ არ ჩანს მესამე ძალა? თან, ყველა სოციოლოგიური კვლევით ცნობილია, რომ ამომრჩევლის 60 პროცენტზე მეტს არც ერთი უნდა და არც მეორე.***

– მართლაც უცნაურია. თუმცა, აგვისტოს თვე პოლიტიკურად მკვდარია. ალტერნატიული ცენტრის ფორმირების პროცესი, ალბათ, უფრო შემოდგომისთვის არის მოსალოდნელი. უკვე არსებული პარტიებიდან „ლელო“ და გახარიას პარტია მეტ-ნაკლებად ის პარტიები არიან, რომლებიც იმუშავებენ, რომ საარჩევნო ბარიერი დაძლიონ. თუმცა, ჯერ თითქოს ვერ ახერხებენ თავიანთი ამომრჩევლის იდენტიფიცირებას. თითქოს ვერ ახერხებენ თავიანთი სათქმელის ამომრჩევლამდე მიტანას. გასაგებია, გახარიას ამომრჩეველი ძირითადად ნომენკლატურას წარმოადგენს.

***– თქვენ ამბობთ, რომ გახარია ვერ ახერხებს მასებზე გასვლას?***

– დიახ, უფრო სპეციფიკური ამომრჩეველია. თუ ვერ შეძლო უფრო მეტის მიმხრობა, მაშინ ბარიერის გადალახვა გაუჭირდება.

***– რაც შეეხება „ლელოს“?***

– მრჩება შთაბეჭდილება, რომ „ლელო“ ჯერ ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული. არ არის ისეთი აქტიური, რომ უფრო მეტი ამომრჩეველი გახდეს მისიანი. ბევრად მეტი სათქმელი უნდა ჰქონდეთ ამომრჩევლისთვის.

არ გამოვრიცხავ, შემოდგომაზე ახალი პოლიტიკური ძალები გამოჩნდნენ. პირველი იქნება ყიფიანი თავისი გუნდით. ეს გარდაუვლად მოხდება იმ შემთხვევაში, თუ „ოცნება“ ნახავს, რომ მთავრობას დამოუკიდებლად ვერ აყალიბებს.

***– და ყიფიანი გადალახავს ბარიერს?***

– გადალახავს. ბევრი კომბიანაცია იქნება, მაგრამ ეს ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ განვითარდება საერთოდ პოლიტიკური პროცესი. ასევე, საინტერესოა, რას იზამენ უკვე არსებული ის წვრილ-წვრილი პარტიები, რომლებიც დამოუკიდებლად ნამდვილად ვერ გადალახავენ ბარიერს. საინტერესოა, რას იზამს ნიკა მელია, რომელსაც, დღევანდელი მონაცემებით, ნამდვილად აქვს შანსი, ხუთ-პროცენტიანი ბარიერი გადალახოს.

შემოდგომისთვის უფრო უნდა დალაგდეს პოლიტიკური სპექტრი. თუ ვინმე გამოსვლას აპირებს, უნდა გამოვიდეს. თუ ვინმე გაერთიანებას, უნდა გაერთიანდეს. მერე უკვე გვიან იქნება. ამ პროცესის დასრულების შემდეგ, პოლიტიკური სურათი ბევრად უფრო ნათელი იქნება.



**ვახტანგ ძაბირაძე: „ახლა გაახსენდა სოზარ სუბარს, რომ ნაციონალების დანაშაულების პოლიტიკური შეფასება უნდა გააკეთონ“?!**

---



„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.

# „ნაცები უკან არაფერზე იხევენ, საქართველოში დაძაბულობის კერა რომ გააჩინონ“

## დათო ლორთქიფანიძე: „თუ 2008 წლის ომის შემდგომ, მათი მთავარსარდალი რუს ტურისტებს საბაჟოზე, ლარსის გამშვებ პუნქტზე, სამარცხვინოდ, ღვინის ბოთლით ხელში ხვდებოდა, მათ უვიზო რეჟიმი დაუწესა და საქართველოში იწვევდა, ახლა რატომ გამოთქვამენ პროტესტს“?

გულიკო ბალაძე

***– ბატონო დათო, რუსი ტურისტები საქართველოსთვის პრობლემა გახდა? მოგეხსენებათ. ბათუმში მათ შემოსვლას ეწინააღმდეგებიან და საკრუიზო გემით შემოსულ რუს ტურისტების მოქალაქეთა ჯგუფი პროტესტით დახვდა.***

– მე სხვა კუთხით ვისაუბრებ. ამ ქვეყნისთვის, სამწუხაროდ, ძალიან დიდი პრობლემაა, ფსევდოეროვნული ნაცმოძრაობა, მასზე მიტმასნილი ე.წ. პოლიტიკური პარტიები და მათი განაყოფი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობენ, საქართველოში დაძაბულობის კერა გააჩინონ. ამისთვის ისინი უკან არაფერზე იხევენ.

უკაცრავად, მაგრამ თუ ეს პრობლემა აქამდე არ იყო, თუ 2008 წლის ომის შემდგომ, მათი მთავარსარდალი რუს ტურისტებს საბაჟოზე, ლარსის გამშვებ პუნქტზე, სამარცხვინოდ, ღვინის ბოთლით ხელში ხვდებოდა, მათ უვიზო რეჟიმი დაუწესა და საქართველოში იწვევდა, ანუ რუს ტურისტებს უვიზო რეჟიმი დაუწესა, ახლა რატომ გამოთქვამენ პროტესტს? ჰგონიათ, სააკაშვილის ქმედება დაგვავიწყდა?

ჩვენ, ვისაც ეს ქვეყანა გვიყვარს და ამ ქვეყნის დღევანდელობას თუ ხვალინდელ დღეს გონივრულად ვუდგებით, ეს არ დაგვიწყებია. თუ რუსი პრობლემა არ იყო მაშინ, როდესაც მთელი ქვეყნის სტრატეგიული ობიექტები რუსეთის სახელმწიფო ბიზნესს ჩააბარეს, ახლა ბათუმში გემით 100 თუ 200 კაცის შემოსვლა თუ პრობლემაა, ამისთვის სათანადო ორგანოები არსებობენ.

დამხვდურები იძახიან, რუს ტურისტებს ოკუპაციის შესახებ კანონი დარღვეული აქვთო. თუ შემოსულ რუს ტურისტებს ოკუპაციის შესახებ საქართველოს კანონი რეალურად დარღვეული აქვთ, ოკუპაციის შესახებ კანონის დარღვევების გაკონტროლება საზღვრის დაცვის სამსახურს ევალება და მათ მიმართ კანონით განსაზღვრულ ზომებს მიიღებს.

თუ ისინი ქუჩაში ისე არ მოიქცევიან, როგორც საჭიროა და კანონს დაარღვევენ, მაშინ სამართლებრივი ზომა გატარდება, რაც უნდა იყოს გატარებული ნებისმიერი კანონდამრღვევის მიმართ. აჟიოტაჟის ატეხვა და ქარიშხლის შექმნის მცდელობა აჭარაში ტურისტული სეზონის ჩაგდებისკენ არის მიმართული.

აქ მარტო რუს ტურისტებზე არ არის საუბარი. როდესაც რუს ტურისტს ერჩი, აქ ამას სხვა ქვეყნიდან ჩამოსული ტურისტებიც უყურებენ. მათ შორის, ევროპული ქვეყნებიდან ჩამოსული ტურისტებიც არიან, რომლებსაც ამის შემხედვარე არანაირი სურვილი ექნებათ, ან ტური დაასრულონ ან შემდეგ სხვას გაუწიოს რეკომენდაცია, რომ ჩვენს სტუმართმოყვარე და სამოთხის მსგავს ქვეყანაში ჩამოვიდნენ.

***– ევროპელები რუსი ტურისტების განწყობებს რატომ აჰყვებიან? ევროპელი ტურისტები, ალბათ, რუსების აგრესიას ხედავენ, საქართველოში თუ არა, იგივე, ვთქვათ, უკრაინაში.***

– ევროპელები რუსების განწყობებს კი არ აჰყვებიან, ევროპელი ტურისტი პატარა ბათუმში (ჩვენთვის საყვარელ, პატარა, კოხტა ქალაქში) მოკლე დისტანციაზე გადაადგილდება და თვალნათლივ ხედავს, ამ ქალაქში როგორი აგრესია იფრქვევა. უცხოელისთვის, ხშირ შემთხვევაში, ძნელი გასარჩევი იქნება, ის ადამიანები ვის და რატომ ერჩიან.

უცხოელი ტურისტი სიმშვიდისკენაა მიდრეკილი. ჩვენც ვყოფილვართ სხვა ქვეყნებში, სადაც თავს მშვიდად ვგრძობდით, იქ წასვლის სურვილი კვლავ გაგვჩენია. როდესაც ხედავ, რომ გემთან რამდენიმე ასეული ადამიანია მიმდგარი (ბოდიშს ვიხდი, არავინ არავის თავებს არ ითვლის, მაგრამ ათიათასობით არ არიან), ანუ ჯგუფია ადამიანებისა, რომლებიც ცდილობენ, დიდ ეროვნულ მოღვაწეებად წარმოჩნდნენ.

ისევ ვიტყვი, ეს ის ხალხია, რომლებმაც რუსეთს ძალიან დიდი სამსახური გაუწიეს, რუსეთთან სავიზო რეჟიმი ცალმხრივად გააუქმეს, პრეზიდენტი რუს ტურისტებს საბაჟოზე ხვდებოდა, რუსეთის სახელმწიფო კომპანიებს საქართველოს სტრატეგიული ობიექტები გადაუფორმა. თუ ეს აქამდე პრობლემა არ ყოფილა, ახლა, 2023 წლის 31 ივლისს, რატომ აღშფოთდნენ?

***– სააკაშვილმა რუსეთთან ცალმხრივად უვიზო რეჟიმი (2010 წელს) რომ შემოიღო და ლარსის გამშვებ პუნქტთან რომ ხვდებოდა, მას შემდეგ შეიცვალა ის, რომ რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, უკრაინას ბომბავს და უკრაინის ტერიტორიის 20% ოკუპირებული აქვს. როგორც ჩანს, რუსი ტურისტების შემოსვლას ნაცები ახლა ამის გამო აპროტესტებენ.***

– თბილისისა და ბათუმის ნებისმიერ რესტორანში საღამოს მიბრძანდით და თქვენ თვითონ ნახავთ, რუსი თუ უკრაინელი ტურისტები (თუ ჩამოსული ადამიანები) ერთად, ერთ სივრცეში როგორ მშვიდად არიან. ერთმანეთთან არანაირი პრობლემა აქვთ. ჩვენი პრობლემაა, რუსი რომ ოკუპანტია, აგერ, ნახევარი საათის სავალზე ჯარით დგას და უკან წასვლას არ აპირებს. ის არ არის პრობლემა, ტურისტი გემით რომ ჩამოვა, ბათუმში ერთ სრულ დღეს გაატარებს და მერე უკან გაბრუნდება თუ სხვა ქვეყანაში გადავა, ესაა პრობლემა?

პრობლემა არის თბილისიდან 30 კილომეტრში და აფხაზეთში ბაზები, რომელი პრობლემაც ნაცებმა მოიტანეს, დააკანონეს და დაგვიტოვეს.

***– ისე, რუსი ტურისტების განწყობაც ძალიან კარგად გამოჩნდა, როდესაც აქციის მონაწილეებს გემიდან ეჯღანებოდნენ, ხელებით აჩვენებდნენ, სულელები ხართო. ასეთი დამოკიდებულებაც სასიამოვნო არ არის.***

– ასეთი ქცევა, რა თქმა უნდა, არაერთიკურია. რუსი გააკეთებს თუ არარუსი, ყველა დასაგმობია. ცხადია, მე ასეთი დამოკიდებულება არ მომწონს, მაგრამ, ვფიქრობ, ეს გამონაკლისი, ერთეული შემთხვევაა. ამით არ შეიძლება ყველა სტუმრის განწყობა განვსაზღვროთ.

***– კი, მაგრამ გამოჩნდა, რომ ასეთი აზრები მხოლოდ პუტინს არ აქვს, მოქალაქეებსაც აქვთ, თქვენ ჩვენი ერთ-ერთი რესპუბლიკა იყავითო.***

– სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს ერთეულების განწყობებამდე ნუ დავიყვანთ. ჩემი აზრით, ეს სწორი არ არის. რა თქმა უნდა, ასეთი დამოკიდებულება დასაგმობია, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს იმ ერთი ადამიანის პოზიციაა და ვარკვიოთ, მან ეს რატომ თქვა?

ადამიანმა საკრუიზო ლაინერზე სამგზავრო ბილეთი იყიდა და ჩამოვიდა, ჩვენ, ახლა, ვისაუბროთ იმაზე, რატომ არ არის განათლებული, რატომ არ იცის საქართველოს ისტორია, რატომ არ გმობს ოკუპაციას? ეს საკითხის მეორე მხარეა.

თუ მას კანონი ოკუპაციის შესახებ დარღვეული არ აქვს, საშუალება უნდა მიეცეს, საქართველოში შემოვიდეს. თუ ის საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაულს ჩაიდენს, ქართული კანონმდებლობის წინაშე. პასუხი უნდა აგოს.

ასევე არასწორია, თუ საქართველოზე „გადამკვდარი“ აქტივისტები ქართველ პოლიციელს ფიზიკურ ან სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ, მათზე სამართლებრივი რეაგირება პუტინისა და ოკუპანტების მსახურებად ითვლებოდეს.

***– თუმცა, მეორე მხრივ, მოქალაქეებსაც მშვიდობიანი გამოხატვის, პროტესტის უფლება აქვთ.***

– რა თქმა უნდა, ვინ უშლით. მშვიდობიანი პროტესტის გამოხატვის უფლება ყველას აქვს, მაგრამ, როდესაც მშვიდობიანი გამოხატვის შემთხვევაში, სამართალდამცავი მოქმედების არეალს მიგითითებს, უნდა დაემორჩილო.

როცა სამართალდამცავს არ ემორჩილები, ტურისტს გემიდან გადმოსვლის საშუალებას არ აძლევ, ავტოსატრანსპორტო საშუალებას არ უშვებ, ტურისტთან მივიდეს, რომელსაც ბათუმის ღირსშესანიშნაობების დათვალიერება გაწერილი აქვს, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში პოლიცია კანონის დაცვით, ეთიკურად და სამართლის ყველა ნორმის ჩარჩოში, მოქალაქეებს სთხოვს, პოლიციის მითითებები დაიცვან.

თუ აქციის მონაწილეები პოლიციის მითითებებს არ ემორჩილებიან და პოლიციელებს შეურაცხყოფას აყენებენ, ცხადია, ასეთ შემთხვევას სათანადო რეაგირება მოჰყვება. ეს ჩვეულებრივი ამბავია.

***– ხომ არ არის თქვენთვის ცნობილი, რა ვადით და რა კატეგორიის ტურისტები შემოდიან?***

– ეს ტურისტები და საკრუიზო გემი საქართველოში სრულ ერთ დღესაც არ ჩერდება. გემი შემოდიოდა და საღამოს უკან მიდიოდა.

***– საკრუიზო გემით ის ტურისტები ერთი დღით შემოდიან?***

– გემი ერთი დღით მოდის სოჭიდან და არსად ჩერდება. ტყუილია, რომ ამბობენ, სოხუმში შეიარაო. მოსახლეობას ატყუებენ, თითქოს გემმა სოხუმში შეიარა, გამოიარა. გემი სოჭიდან ბათუმში მოდის, ბათუმში ღირსშესანიშნაობებს ათვალიერებენ, ქართულ სამზარეულოს აგემოვნებენ და მიდიან.

***– თქვეს, რომ გემზე თურქეთის მოქალაქეებიც იყვნენ, ანუ, შეიძლება, თურქეთში ჩადის და მერე ბათუმში მოდის?***

– გასაგებია. ტურისტები რომ შემოდიან, აუცილებლად სასაზღვრო კონტროლს გადიან. მათთან საზღვრის დაცვის პოლიცია მიდის. სასაზღვრო პოლიციის ქვედანაყოფი გემზე ადის და სასაზღვრო კონტროლი ტარდება.

ტელევიზიით აჩვენებდნენ, გემზე პატრულის თანამშრომელი დაინახეს და თითქოს ეს რაღაც უბედურება იყო. არადა, ეს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურაა.

სასაზღვრო დეპარტამენტმა, ამ შემთხვევაში საპატრულო პოლიციამ, ჩვეულებრივი პროცედურა უნდა ჩაატაროს. ისევე, როგორც თბილისის საერთაშორისო აეროპორტში შემოსული ტურისტი სასაზღვრო კონტროლს გადის, ბათუმში გემით შემოსული ტურისტიც სასაზღვრო კონტროლს ისე გადის, რათა შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილდეს. საპატრულო პოლიცია მათთან კომუნიკაციაში ამიტომ შედის.

თუ აღმოჩნდება, რომ რომელიმე ტურისტს კანონი ოკუპაციის შესახებ დარღვეული აქვს, მას შემოსვლის უფლებას არ მისცემენ. გემში ყოფნა დანაშაული არ არის.

ასევე არასწორია საუბარი იმაზე, რომ ჩვენ აღგვიქვამენ, როგორც ხინკლისა და ხაჭაპურის ქვეყანას და სარესტორნო ქვეყნად. პიცა იტალიურია. თუ იტალიაში ადამიანს პიცა მოსწონს, დამაკნინებელი დამოკიდებულებაა? იტალიელებისთვის პიცა ტრადიციულია. თუ ჩვენთან ხაჭაპურსა და ხინკალზე გეტყვიან, კარგიაო, ჩვენ ამით სარესტორნო ქვეყანა ვართ? ეს დამოკიდებულება ძირშივე შეურაცხმყოფელია. ვინც ამას იმეორებს, ამ ქვეყნის მტერია.

# „ხელისუფლებას ვურჩევდი, სანამ პირს გააღებს, კარგად განჭვრიტოს, რას ლაპარაკობს“

მარიამ მჭედლიშვილი



## გიგა ბუკია: „ქართული ოცნება“ ყველა ღონეს იხმარს, რომ პარლამენტში შეიყვანოს „ხალხის ძალა“ და კოალიციაც მასთან ჩამოაყალიბოს“

ივლისი საქართველოში ცხელი თვე გამოდგა როგორც გეოპოლიტიკურად, ისე 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადების თვალსაზრისით. აქტუალურ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ყოფილ დეპუტატს, გიგა ბუკიას.

***– მმართველი პარტია საქართველოში გაკეთებულ რუსეთის საწინააღმდეგო ნებისმიერ განცხადებასა და ნაბიჯს ნაციონალურ მოძრაობას უკავშირებს. ამით რის მიღწევა უნდა? „ქართული ოცნება“ ამით ნაცმოს პროდასავლურ ნიშას ხომ არ უმტკიცებს?***

– არა. მმართველი პარტია ნაციონალურ მოძრაობას მთავარ ოპოზიციად წარმოაჩენს, მაგრამ პროდასავლურ ნიშას არ უმტკიცებს. ნაციონალურ მოძრაობასთან მიმართებით ისევ ხშირად ისმის „ომის პარტია“, ლგბტ პირების მთავარი დამცველები. ნაცმოძრაობის მიმართ იგივე მიდგომაა, რაც აქამდე იყო. ეს არის არჩევანი შავსა და თეთრს შორის. ხელისუფლება ხალხს ისევ ნაციონალური მოძრაობის დაბრუნებით აფრთხობს და ყველაფერს აკეთებს, რომ პოლიტიკურ ველზე შუალედი არ დატოვოს. ამ რიტორიკით, რომელსაც ნებსით თუ უნებლიედ, ოპოზიციაც მიჰყვება, არის დაპირისპირება „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის, სხვა კი არაფერი არსებობს. ეს მრავალგზის გამოცდილი ტრიუკია.

***– ბოლო ხანს ბევრი საუბარია იმაზე, რომ იქმნება სხვადასხვა პოლიტიკური ცენტრი (წინასაარჩევნო ბლოკები აკრძალულია) „ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის გარეშე. თუ ასეთი ცენტრები შეიქმნება, ორპოლუსიანი გარემო პოლიტიკაში არ დასრულდება?***

– 5%-იანი ბარიერი სერიოზული ფაქტორია დღევანდელ მოცემულობაში. ახალი პოლიტიკური ცენტრის შექმნა, მაგალითად, „ლელოს“ უნდა. არ ვიცი, გამოუვა თუ არა. ამ პარტიამ ბევრი შეცდომა დაუშვა. მაგალითად, მას შეეძლო, კონსერვატიულ ხმებზეც ემუშავა. მან ეს არ გააკეთა. „ქართული ოცნებაც“ ბევრს იმუშავებს წინასაარჩევნოდ. თავისი წიაღიდან მან შექმნა „ხალხის ძალა“, რომელიც, ალბათ, პარტია გახდება.

„ქართული ოცნება“ ყველა ღონეს იხმარს, რომ პარლამენტში შეიყვანოს „ხალხის ძალა“ და კოალიციაც მასთან ჩამოაყალიბოს. მმართველი გუნდი ორ ფრონტზე იმუშავებს – საკუთარ ხმებსა და „ხალხის ძალის“ ხმებზე.

„ხალხის ძალისთვის“ ეცდებიან იმ ამომრჩევლის მოზიდვას, რომელიც მას არ აძლევს ხმას. „ოცნებას“ აწყობს, რომ კოალიცია ჰქონდეს „ხალხის ძალასთან“. უცხოეთშიც ექნებათ სათქმელი, რომ ერთპარტიული არაა კოალიცია.

***– ნაცმოძრაობაც ხომ მოიაზრება მომავალ პარლამენტში?***

– დიახ, მაგრამ კოალიციას სჭირდება 50%-ს პლუს ერთი და „ოცნებას“ იმედი აქვს, რომ მას „ხალხის ძალასთან“ ერთად ჩამოყალიბებს. ნაცმოძრაობა ისევ და ისევ იქნება ე. წ. მთავარი ოპოზიცია.

***– სხვა ძალების შესაძლებლობები როგორია?***

– „ლელოს“, ჩემი აზრით, მცირე შანსი აქვს, რომ გადალახავს 5%-იან საარჩევნო ბარიერს. გახარიასა და მის პარტიას ამ ეტაპზე აქვს პარლამენტში მოხვედრის შესაძლებლობა, მაგრამ არჩევნებამდე უნდა იაქტიუროს. დღევანდელი რეალობა ასეთია. არჩევნებამდე დიდი დროა და მანამდე შეიძლება რამე შეიცვალოს. ახალი გაერთიანება თუ გაჩნდა, ეს უნდა მოხდეს იდეოლოგიურ საფუძველზე. საერთოდ, 5%იანი ბარიერი მაღალი არ არის, მაგრამ დღევანდელ სიტუაციაში ეს არის გამოწვევა ბევრი პარტიისთვის. 5%-იანი ზღურბლი ადრე გადაგვილახავს, მაგრამ დღეს ეს ჩვენთვისაც რთულია.

***– კეთდება განცხადებები იმაზე, რომ ერთ ცენტრში თავს მოიყრიან ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც წინათ „ქართული ოცნების“ კოალიციაში იყვნენ. თქვენც იყავით იმ კოალიციაში...***

– ვიყავით და არ ვაპირებთ, პროცესებს ჩამოვშორდეთ, განზე გავდგეთ. პაუზა გვქონდა, მაგრამ პრობლემებზე ყოველთვის ვმსჯელობდით. დღეს არ შემიძლია სამომავლო კონტურებზე რაიმე გითხრათ. ასეთი კონტურები ჯერ არ არის გამოკვეთილი. არჩევნებამდე დიდი დროა და ჯერ არაფერი გადაგვიწყვეტია.

***– საქართველომ და ჩინეთმა სტრატეგიული პარტნიორობის მიმართულებები დაამტკიცეს და მათ შორის საერთაშორისო განზომილებაზეც მიაღწიეს თანხმობას. ეს ცოტა გაუგებარი ხომ არ არის იმ დროს, როცა საქართველო ევროკავშირის წევრობისკენ ისწრაფვის? დავუშვათ, პეკინმა დაიწყო საბრძოლო მოქმედებები ტაივანში. ამას არ მოიწონებს ევროკავშირი. საქართველომ რა უნდა ქნას?***

– დავიწყებ იმით, რომ ჩინეთთან ასეთი ურთიერთობის დამყარება აბსოლუტურად სწორი და ადეკვატურია. საქართველო წარმოადგენს ინტერესის საგანს როგორც აშშ-ევროკავშირისთვის, ისე ჩინეთისთვის, ასევე რუსეთისთვის. სამივე მოთამაშემ უნდა გაითვალისწინოს საქართველოს ინტერესები. საქართველომ, თავის მხრივ, უნდა აწარმოოს ძალიან გონივრული და ფრთხილი პოლიტიკა. იმ საკითხზე, რომელზეც მკითხეთ, ასევე სხვა საკითხებზე, საქართველოს პოზიცია არაფერს შეცვლის. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ეს მოთამაშეები, რომლებიც ვახსენე, ერთმანეთს არ დაეჯახონ საქართველოში. ჩინეთთან თანამშრომლობის გაღრმავებას დადებითად ვაფასებ. თუ დავუშვათ (ეს არ მოხდება, მაგალითისთვის ვამბობ) ჩინეთმა მოგვთხოვა, იარაღი აისხით და აშშ-ს ან რუსეთს შეებრძოლეთო, ეს მიუღებელი იქნება. ახლა კი ეს თანამშრომლობა ძალიან სასარგებლოა.

ჩვენ უნიკალური ადგილმდებარეობა გვაქვს და საქართველო იწვევს ძლიერი მოთამაშეების დიდ გეოპოლიტიკურსა და ეკონომიკურ ინტერესს. მიმაჩნია, რომ ყველა მეტი პატივისცემით უნდა მოგვეპყრას, რუსეთმა კი შეასრულოს ის, რასაც მოვითხოვთ. ბოლო დროს საქართველო უფრო საყურადღებო და მიმზიდველი გახდა. საქართველოს ხელისუფლებას სიფრთხილე და გონიერება სჭირდება. ამიტომ ხელისუფლებას ვურჩევდი, სანამ პირს გააღებს, კარგად განჭვრიტოს, რას ლაპარაკობს.

# ლევან ხაბეიშვილი: „კობახიძე კარგად ასრულებს რუსულ ინსტრუქციებს“

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი აცხადებს, რომ ქვეყნის „მთავარი პროვოკაცია და ქაჯობა“ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე და „რუსული რეჟიმია“.

ამით ხაბეიშვილმა უპასუხა ჟურნალისტის კითხვას, რომელიც „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძის დღეს გაკეთებულ განცხადებას ეხებოდა, რომელმაც თქვა, რომ „რუსეთიდან ჩამოსულს ჟურნალისტი ოკუპაციაზე რომ ეკითხება, უკვე პროვოკაციაა“.

ხაბეიშვილის განცხადებით, ირაკლი კობახიძე „რუსულ ინსტრუქციებს“ ასრულებს.

– თუ რამე არის პროვოკაცია და თუ რამე არის ქაჯობა, თუ ვინმეა ქაჯი და პროვოკატორი, არის „კაკებეშნიკის“ ოჯახში გამოწრთობილი ირაკლი კობახიძე, რომელიც კარგად ასრულებს რუსულ ინსტრუქციებს.

ცხადია, მისთვის პროვოკაციული შეკითხვაა. „არის თუ არა აფხაზეთი საქართველო“ – ეს კითხვაც არ უნდა ისმებოდეს, მაგრამ ოკუპანტის, პუტინისტის მიმართ კითხვა ლოგიკურია. რომ გეუბნებიან, სტუმრები არიან და ამასობაში არ აღიარებენ ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას, ცხადია, ვერ ჩაითვლებიან ჩვენს ტურისტებად და კეთილმოსურნეებად. ამიტომ მთავარი პროვოკაცია ამ ქვეყნის, ქაჯობა და ქაჯი არის ივანიშვილის მიერ ხელდასმული რუსული რეჟიმი, – განაცხადა ხაბეიშვილმა.

ინფორმაციისთვის, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე გამოეხმაურა სოჭიდან წამოსული საკრუიზო ლაინერის, „ასტორია გრანდეს“ გარშემო ბათუმში განვითარებულ მოვლენებს და განაცხადა, რომ „კოლექტიურმა ნაცმოძრაობამ ანუ ნაციონალურმა მოძრაობამ, „ლელომ“, გახარიას პარტიამ, „ევროპულმა საქართველომ“ ბათუმში ხალხი მთელი საქართველოდან ჩაიყვანა და 150 კაცი ძლივს მოაგროვა – რუსეთიდან ჩამოსულს ჟურნალისტი ოკუპაციაზე რომ ეკითხება, უკვე პროვოკაციაა.





# ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოს და ყაზახეთის ამბიციური გეგმები განვითარების ახალი ერის დასაბამია“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პეკინიდან ყაზახეთის რესპუბლიკაში გაემგზავრა.

ალმატის საერთაშორისო აეროპორტში პრემიერ-მინისტრის დახვედრის ცერემონია გაიმართა.

ირაკლი ღარიბაშვილს აეროპორტში ყაზახეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ერმუხამბეტ კონუსპაევი, ალმატის მერის მოვალეობის შემსრულებელი ალიშერ აბდიკადიროვი, ყაზახეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში მალიკ მურზალინი და ყაზახეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნიკოლოზ ლალიაშვილი დახვდნენ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ყაზახეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ ეხმაურება.

მთავრობის მეთაურის თქმით, ტრანსკასპიური სატრანსპორტო საერთაშორისო მარშრუტი შთამბეჭდავი ტემპით ხორციელდება და რეგიონალური დაკავშირებადობის უნარს საოცრად ზრდის.

– მიხარია, ყაზახეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა ქალაქ ალმატიში.

შესანიშნავი წინსვლა გვაქვს ტრანზიტისა და ტრანსპორტის სფეროებში თანამშრომლობის მიმართულებით.

ტრანსკასპიური სატრანსპორტო საერთაშორისო მარშრუტი შთამბეჭდავი ტემპით ხორციელდება და რეგიონალური დაკავშირებადობის უნარს ძალიან ზრდის.

შუა დერეფანთან დაკავშირებით საქართველოს და ყაზახეთის ამბიციური გეგმები განვითარების ახალი ერის დასაბამია, – აღნიშნავს პრემიერი.

# „თუ ჩინეთმა ჩვენთან ფეხი შემოყო, პოლიტიკური ნაწილის მართვასაც შეძლებს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

***– რა საფრთხეებია ჩადებული?***

– ტექსტში ძალიან ზედმეტად არის გაშლილი პოლიტიკური ნაწილი. ჯობდა, რომ მხოლოდ ეკონომიკის ნაწილი ყოფილიყო და კულტურული ნაწილი. საერთოდ არ უნდა ყოფილიყო პოლიტიკური ნაწილი, მით უმეტეს, საერთაშორისო ურთიერთობების ნაწილი. იქ არის პასაჟები იმაზე, რომ ჩვენ ერთმანეთის მართვის გამოცდილება გავიზიაროთო.

***– კარგი პერსპექტივა თავშივე გააფუჭეს?***

– გააფუჭეს ყველაფერი. ასევე ეკონომიკურად ერთ-ერთი პუნქტი არის ძალიან საფრთხის შემცველი, სადაც წერია, რომ ჩინელები აპირებენ კრედიტების გაცემას ქართულ პროექტებზე. კრედიტის გაცემა არის დახვრეტის ტოლფასი. ჩინური კრედიტები არის ძალიან მძიმე, დრაკონული კრედიტები. ჩინელები ამას იყენებენ, პირველ რიგში, როგორც პოლიტიკურ ინსტრუმენტს. ეს საყოველთაოდ ცნობილია, აბსოლუტურად არ არის საიდუმლო.

***– მაშინ რატომ მიდის ამაზე ჩვენი ხელისუფლება?***

– აი, ეს ყველაზე დიდი კითხვაა.

***– ვისმენთ შეფასებებს, რომ დასავლეთს გაეჯიბრა, ეს შანტაჟია და ასე შემდეგ. მიდის ვაჭრობა დასავლეთთან?***

– ეს არასწორი მიდგომაა. არავითარ შემთხვევაში დასავლური ვექტორის საპირწონედ არ გამოდგება ჩინური ვექტორი. ქვეყანას უნდა გააჩნდეს ერთი ვექტორი, ერთადერთი. ჩვენ ამოვირჩიეთ დასავლური გზა და დასავლური გზით უნდა წავიდეთ! თუმცა, ეს აბსოლუტურად არ გამორიცხავს იმას, რომ ქვეყანას ჰქონდეს ინტერესების თანხვედრა სხვადასხვა პოლუსებთან. ჩვენ ყველგან შეგვიძლია კარგი ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება, მაგრამ არამცდაარამც პოლიტიკური! პოლიტიკური ჩვენ გვაქვს ერთი გზა და ეს არის დასავლეთი.

***– ხომ არ მიდის ამ გზიდან გადახვევა?***

– სიმართლე გითხრათ, კიდევ უფრო გაღრმავდა ეს ეჭვი, რაც ძალიან ცუდია. ამ შემთხვევაში, მე დასავლეთის მხარეს გადაგდებულ ბურთსაც ვხედავ. მოდით და თქვენც გააკეთეთ რაღაცა. დასავლეთი უფრო უნდა გააქტიურდეს, საჭიროა უფრო მკვეთრი ნაბიჯები და განცხადებები.

***– რამდენად კარგი პარტნიორი იქნება ჩინეთი?***

– იცით, როგორ არის, ჩინეთი რომელ ქვეყანაშიც შედის, იქედან ახდენს რუსეთის ეკონომიკურ გამოდევნას. ეს მოხდა აფრიკაში, სადაც ძალიან დიდი ინტერესი ჰქონდა რუსეთს და, რაც მთავარია, ცენტრალური აზიიდან.

***– შესაძლოა, ერთმანეთს დაეჯახოს ჩინური და რუსული ინტერესები?***

– საქმეც ამაშია, რომ რა რუსული ინტერესებია საქართველოში ისეთი განსაკუთრებული? მარგანეცის გარდა, სხვა რამე არის? ეკონომიკური ნაკლებად, მაგრამ პოლიტიკური არის. როდესაც ჩინეთი რუსულ ეკონომიკურ ინტერესს დევნის რომელიმე ქვეყნიდან, პოლიტიკურს არ ეხება. პირიქით, აწყობს, მისთვის ორგანულია ავტოკრატიული რეჟიმების მეგობრობა. გამოდის, რომ თუ ჩინეთმა შემოყო ფეხი ჩვენთან, მაშინ პოლიტიკური ნაწილის მართვასაც შეძლებს. ჩვენი ხელისუფლება იძულებული გახდება, თვითონაც ავტოკრატიული გახდეს. ასე რომ, არც ისე მომხიბვლელია ეს ყველაფერი. ყველაფრის დოზირებაა საჭირო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „არასრულწლოვანს საქმროსთან სქესობრივი აქტისას ფოტო გადაუღო, დაემუქრა და გააუპატიურა“



სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, ივნისი-ივლისის პერიოდში პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტზე 8 პირი ამხილა, მათგან 2 დააკავა, 6 პირს კი ბრალდება წარუდგინა.

უწყების განცხადებით, ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2023 წლის 2 ივნისს, 1989 წელს დაბადებულმა ი.ხ.-მ, თემქის დასახლებაში, არასრულწლოვან დაზარალებულს, საქმროსთან სქესობრივი აქტისას, ა/მანქანიდან მობილური ტელეფონით ფარულად გადაუღო ფოტოები. მოგვიანებით ქუჩაში გააჩერა არასრულწლოვანი გოგონა, წარუდგინა მას ფარულად გადაღებული ინტიმური შინაარსის ფოტოები, მისი გავრცელებისა და გახმაურების მუქარით ჩასვა ა/მანქანაში და მასთან არანებაყოფლობით სქესობრივი აქტი დაამყარა.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა დაზარალებულის მომართვის შემდეგ, გადაუდებელი საგამოძიებო და ოპერატიული მოქმედებების შედეგად, ბრალდებული დააკავა. მას ბრალდება გაუპატიურებისა და პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფისთვის წარედგინა. დანაშაული 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გარდა ამისა, დანაშაულში მხილებულია ბოლნისის რაიონში მცხოვრები 1985 წ-ს დაბადებული ი.ა., რომელმაც 2022 წლის 28 მაისს, შიშველ მდგომარეობაში მყოფ დაზარალებულს იძულებით გადაუღო ფოტოები და შემდეგ გააუპატიურა, რა დროსაც, კუთვნილი მობილური ტელეფონით მოახდინა აღნიშნული პროცესის უკანონოდ გადაღება. ბრალდებულმა, უკანონოდ გადაღებული ფოტოსურათი „ფეისბუქ მესენჯერის“ საშუალებით, გადაუგზავნა დაზარალებულის არასრულწლოვან შვილს.

გაუპატიურების ფაქტთან დაკავშირებით ი.ა-ს მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფისთვის მას ბრალდება წარედგინა. დანაშაული 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

რაც შეეხება დანაშაულში მხილებულ 6 პირს, ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებს სოციალური ქსელით გაცნობილ ქალბატონებთან ურთიერთობა სხვადასხვა დროს ჰქონდათ და მათი პირადი მობილური ტელეფონებისა და სოციალური ქსელების საშუალებით, პირადი ცხოვრების ამსახველ ინტიმურ ფოტოებს, მიმოწერებსა და ვიდეოებს მოიპოვებდნენ. ბრალდებულები დაზარალებულების პირადი ცხოვრების ამსახველ მასალებს სოციალური ქსელის „facebook“-ის და „watsapp“-ის საშუალებით სხვა პირებს უგზავნიდნენ.

# „მირტყამდნენ ნეკნებისა და ბარძაყის მიდამოებში“ — ბათუმში დაკავებული 3 მოქალაქის პროცესი გადაიდო



ბათუმის საქალაქო სასამართლოში ბათუმის აქციაზე დაკავებული უკრაინელი მოქალაქის პროცესი მიმდინარეობს. აქციაზე დაკავებულების საქმეს სასამართლო ეტაპობრივად განიხილავს – სამი დაკავებულის პროცესი უკვე დასრულდა. მოსამართლემ სხდომა 7-8 აგვისტოს გადადო. პროცესის გადადება ადვოკატმა მოითხოვა. უფლებადამცველის თქმით, მას საქმის მასალები არ ჩაბარებია და მტკიცებულებების მოსაპოვებლად დრო არ ჰქონდა.

დაკავებულებს შორის იყო ოპოზიციონერი პოლიტიკოსის ლევან ანთაძის შვილი, ილია ანთაძე. ის დაკავების პროცესში სამართალდამცველების მხრიდან ფიზიკურ შეურაცხყოფაზე საუბრობს და ამბობს, რომ პოლიციამ მასზე იძალადა.

– უბრალოდ ვიდექი და წინ კაცს ეჭიდავებოდნენ, რა დროსაც ვთქვი, ბაბუასტოლა კაცს როგორ ექცევით-მეთქი. ამ დროს უკნიდან პოლიციელი მომადგა და შემაგდო პოლიციელებში – მირტყამდნენ ნეკნებისა და ბარძაყის მიდამოებში. არანაირი მიზეზი არ მიმიცია პოლიციისთვის, რომ დაკავების ორდერი გაეცათ. დამიჭირეს, გამისწორდნენ ფიზიკურად, ფიზიკური და ასევე სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენეს, – თქვა ილია ანთაძემ.

ბათუმში აქციაზე პოლიციამ ჯამში 23 ადამიანი დააკავა. გამოძიება მათ პოლიციელებისადმი დაუმორჩილებლობასა და წვრილმან ხულიგნობას ედავება. დაკავებულების ნაწილი წინასწარი დაკავების იზოლატორშია, 4 მათგანის ადგილსამყოფელი ამ დრომდე უცნობია.

შსს-ს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით შესაძლო გადამეტების ფაქტზე გამოძიება დაიწყო

სპეციალური საგამოძიებო სამსახური განცხადებას ავრცელებს.

– სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, 2023 წლის 31 ივლისს, ქ. ბათუმში, ნავსადგურთან გამართული საპროტესტო აქციის დროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან აქციის მონაწილეების მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით შესაძლო გადამეტების ფაქტზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით დაიწყო.

გამოძიების დაწყებას საფუძვლად სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში სახალხო დამცველის აპარატიდან და შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან შემოსული შეტყობინებები დაედო.'

# ივლისში უაქციზო თამბაქოს ნაწარმის მართლსაწინააღმდეგო შენახვა-გადაზიდვის 123 ფაქტი გამოავლინეს



1-31 ივლისს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული კონტროლის ღონისძიებების შედეგად, 11.200 კოლოფი (მათ შორის 8 აიქოსი) უაქციზო თამბაქოს ნაწარმის მართლსაწინააღმდეგო შენახვა-გადაზიდვის 123 ფაქტი გამოავლინეს. ამის შესახებ ინფორმაციას შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

მათი ინფორმაციით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს უაქციზო საქონელი ჩამოერთვათ.

– 63 ფაქტზე, სამართალდამრღვევი პირების მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1552 მუხლის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები და საქმის მასალები ქვემდებარეობის მიხედვით სასამართლოს გადაეგზავნა.

2 ფაქტზე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, საქმის მასალები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეგზავნა. ხოლო დანარჩენი 58 ფაქტი ჩაითვალა არაიდენტიფიცირებულ შემთხვევად და შედგა ამოღების ოქმები, – აღნიშნულია შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებულს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა



პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებულს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებული დამნაშავედ ცნო. ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურის პრესსამსახური ავრცელებს.

მათი ინფორმაციით, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2022 წლის 11 დეკემბერს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტის დროს, ბრალდებულმა სანადირო თოფიდან გასროლით რძალს სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. მიღებული დაზიანების შედეგად დაზარალებული ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა, 109-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, ოჯახის წევრის მიმართ) წარედგინა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 18 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ავტოავარია ქობულეთში — დაიღუპა ერთი ადამიანი

ქობულეთში, სოფელ კოხში, 1 აგვისტოს, დილით, ავტომობილი ხევში გადავარდა, რის შედეგადაც ერთი ადამიანი დაიღუპა, ოთხი კი დაშავდა. დაშავებულები კლინიკაში გადაიყვანეს.

არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდები კოხში მეგობრის დაბადების დღეზე იმყოფებოდნენ. უკან დაბრუნებისას კი მძღოლმა, სავარაუდოდ, საჭე ვერ დაიმორჩილა.

# ოკუპირებულ გალში 28 წლის ქალს ეძებენ

ოკუპირებულ გალში მესამე დღეა 28 წლის ნათია ბახტაძეს ეძებენ. არსებული ინფორმაციით, გოგონა ბოლოს 28 ივლისს ნახეს. ის სახლიდან 17:00 საათზე გავიდა და მას შემდეგ არ დაბრუნებულა.

მის გაუჩინარებაზე დაწყებულია გამოძიება, თუმცა, ოჯახი და ახლობლები ფიქრობენ, რომ ქალი ეთნიკურად აფხაზმა გაიტაცა და გამოძიება მას ხელს აფარებს.

ოჯახი დახმარებას ითხოვს.

# რუსეთში ქართველი ბიზნესმენი ტრაგიკულად დაიღუპა

რუსეთში ქართველი ბიზნესმენი, თორნიკე გულუა, ტრაგიკულად დაიღუპა. ინფორმაციას სფეისნიუსი ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციით, 58 წლის ბიზნესმენი ავტოსაგზაო შემთხვევას ემსხვერპლა.

გულუა წარმოშობით ჩხოროწყუდან იყო.

მისი გარდაცვალების ფაქტი ახლობლებმა დაადასტურეს.

# iPhone-მა კლდიდან მანქანით გადავარდნილი მამაკაცი გადაარჩინა

მობილურმა ტელეფონმა iPhone-მა მამაკაცი გადაარჩინა, რომელიც მანქანით კალიფორნიის შტატში მდებარე მთა ვილსონიდან 120 მეტრის სიმაღლიდან ხევში გადაიჩეხა.

საღამოს პოლიციაში შევიდა შეტყობინება იმის თაობაზე, რომ ვილსონის მთაზე გამავალ გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევას ჰქონდა ადგილი. სამაშველო სამსახურში ინფორმაცია მომხდარის შესახებ თანამგზავრის საშუალებით შევიდა iPhone-ის შეტყობინების გაგზავნის ფუნქციის წყალობით. ეს იყო ერთ-ერთი იმ 14 შემთხვევიდან, როდესაც თავად მისი მომხმარებელი ვერ ახერხებს შეტყობინების გაგზავნას. ჯპს-ის დახმარებით ტელეფონმა გადასცა იმ ადგილის კოორდინატები, სადაც იმყოფებოდა მისი მფლობელი.

შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა მამაკაცის ძახილი გაიგონეს ხრამში და დაახლოებით 120 მეტრის სიღრმეზე ავტომობილი აღმოაჩინეს. ექსტრემალური სამსახურის ორი თანამშრომელი ხრამში შვეულმფრენის დახმარებით ჩაეშვა დაშავებულის გადასარჩენად.

სამაშველო ოპერაციის მონაწილე მაიკ ლეუმის თქმით, მამაკაცს თავის ქალატვინის დაზიანება ჰქონდა მიღებული, ხოლო მისი ავტომობილი ფაქტიურად სრულიად განადგურდა. მან ასევე აღნიშნა, რომ სამაშველო სამსახურს დროულად რომ არ მიეღო ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილის კოორდინატები, მამაკაცის გადარჩენა შეუძლებელი აღმოჩნდებოდა.

# მამაკაცმა გოგონა მეოთხე სართულიდან გადმოვარდნას გადაარჩინა



ჩინეთში მამაკაცმა ფანჯრის გარეთ რაფაზე მდგომი მეზობლის გოგონა შენიშნა და საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად გადაარჩინა.

აღნიშნული ინციდენტი სიჩუანის პროვინციის ქალაქ მიანჩუუში მოხდა. გოგონა, რომლის ასაკი უცნობია, მრავალსართულიანი სახლის მეოთხე სართულის ფანჯრის გარეთ რაფაზე აღმოჩნდა. მან ფანჯრის ჩარჩოზე ჩაჭიდება მოასწრო, თუმცა, შიგნით შესვლას ველარ ახერხებდა.

მეზობელი სახლების მაცხოვრებლებმა ამის დანახვაზე ფანჯრის ქვეშ ხალიჩა გაჭიმეს, იმის იმედით, რომ ბავშვს, მისი გადმოვარდნის შემთხვევაში, დაიჭერდნენ. ამის შემდეგ მეზობელი მამაკაცი გამოჩნდა, რომელმაც გოგონამდე მიაღწია და მას ბინაში დაბრუნებაში დაეხმარა.

ამ ინციდენტის შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. მოგვიანებით გაირკვა, რომ გოგონა სახლში მარტო იყო დარჩენილი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# რუსეთ-უკრაინის ფრონტზე გრანდიოზული მოვლენები დაიწყება?!



რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ვითარება სულ უფრო მწვავდება. გარეგნულად თითქოს არაფერი შეცვლილა. რუსები კვლავ გააფთრებით უტევენ კრემენოეს, სვატოვოსა და ლიმანის მიმართულებით. უკრაინელი სამხედრო ექსპერტის ოლეგ ჟდანოვის ცნობით, ოკუპანტები ინიციატივის ხელში აღებას ცდილობენ, მაგრამ ამაოდ. მიუხედავად რიცხობრივი და ტექნიკური უპირატესობისა (ლიმანის და სვატოვო კრემენოეს მიმართულებით მათ თავი მოუყარეს 100.000-იან არმიას), ოკუპანტებმა წინსვლა ვერ შესძლეს. მსგავსი ვითარებაა მარინკასთანაც. აქაც უკრაინელები პოზიციებს მტკიცედ ინარჩუნებენ. ამავე დროს რუსების ზარალი განუზომელია. ამიტომაც უკრაინის დაზვერვის ცნობით, რუსებმა სვატოვო-კრემენოესა და ლიმანის მიმართულებით დამატებითი რეზერვები გადაისროლეს. რაც შეეხება ბახმუტს, იქაც გადასროლილია რეზერვები, ოღონდ ბევრად ნაკლები ოდენობით.

სამაგიეროდ, უკრაინელები განაგრძობენ წინსვლას მელიტოპოლისა და ბერდიანსკის მიმათულებით. ეს ინიციატივის დაუფლების საშუალებას არ აძლევს რუსებს, რადგან ამისი ყველა მცდელობა ძვირი უჯდებათ. უკრაინის გენშტაბის მონაცემებით, განადგურებულია 246.190 ოკუპანტი.

უკრაინული არმია ემზადება ყირიმის ოპერაციისათვის. კერძოდ, მოსალოდნელია ყირიმის ხიდის აფეთქება, აგრეთვე თავად ნახევარკუნძულზე შეიარაღებული გამოსვლებისა და დივერსიების ორგანიზება. ამიტომაც ფსბ-მ უკვე დაიწყო რეპრესიები ყირიმელ თათართა შორის.

ოკუპანტები უკრაინელთა შეტევისათვის გულდასმით ემზადებიან. უკრაინის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის ნატალია გუმენიუკის ცნობით, შავ ზღვაში რუსული სამხედრო ხომალდების რაოდენობა გაიზარდა. გუმენიუკის აზრით, ოკუპანტები ემზადებიან უკრაინის ტერიტორიის მასობრივი დაბომბვისათვის როგორც ზღვიდან, ისე ჰაერიდან. პარალელურად, ისინი შეეცდებიან, გაააქტიურონ სახმელეთო იერიშებიც.

# ბაიდენი აშშ-ში ტურნეს იწყებს

აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი ქვეყანაში ტურნეს იწებს. ის პირველად არიზონას შტატს ეწვევა.

ბაიდენმა განაცხადა, რომ მისი ამოცანაა გააცნოს მოსახლეობას ის მიღწევები, რასაც უკანასკნელ წლებში მიაღწია აშშ-მ.

# ზელენსკი ნიუ იორკში გაემგზავრება

უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი ნიუ იორკში გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გაემგზავრება. ამის თაობაზე იტყობინება გამომცემლობა ბლუმბერგი.

# ელენე ვალტონენი: უფლება არ გვაქვს, უკრაინას რაიმე პრეტენზია წავუყენოთ!



ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ელენე ვალტონენმა განაცხადა, რომ უკრაინამ სამხედრო აღმშენებლობაში უდიდეს წარმატებებს მიაღწია. დღეს უკრაინული არმია ერთ-ერთი უძლიერესია ევროპაში და უკრაინა სავსებით იმსახურებს იმას, რომ ნატოს წევრი გახდეს.

# მარინკასთან ინტენსიური ბრძოლებია

უკრაინაში ბრძოლები გრელდება. რუსების მცდელობა, გაერღვიათ ფრონტი სვატოვო– კრემენოესთან და ლიმანთან, მარცხით დამთავრდა. მტერმა უდიდესი ზარალით დაიხია უკან.

რაც შეეხება დონბასს, აქ გასული დღეების მანძილზე ვითარება არ შეცვლილა. უკრაინელები კვლავ აკონტროლებენ ფლანგებს ბახმუტის მახლობლად. თავად ბახმუტის ქუჩებს შეუბრალებლად აუთოებენ არტილერიით. მარცხით დამთავრდა რუსების ყველა მცდელობა მოეხდინათ ბახმუტის დებლოკირება. ბახმუტი მთლიანად დაინგრა და საცხოვრებლად აღარ გამოდგება. სამაგიეროდ, ქალაქზე უკრაინული დროშა ფრიალებს.

რაც შეეხება ავდეევკას, აქ ბრძოლების ინტენსიურობამ იკლო. უკრაინელები მტკიცედ აკონტროლებენ ქალაქს. მარინკასთან კი ინტენსიური ბრძოლებია. მარინკა, ისევე როგორც ბახმუტი, მთლად დაინგრა. მიუხედავად ამისა, მტერმა მისი აღება ვერ მოახერხა.

ბრძოლებია ზაპოროჟიეს ოლქში. უკრაინელმა მებრძოლებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს ტოკმაკთან. რაც შეეხება მელიტოპოლს, მის ასაღებად ავიაციაა აუცილებელი. ეს კი ურაინელებს არ ჰყოფნით.

უკრაინელთა კონტრშეტევა გრძელდება, მაგრამ მის სისწრაფეზე დიდად მოქმედებენ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა დანაღმული სტეპები და უამრავი სიმაგრე, რაც აქ რუსებმა ააგეს. მუხედავად ამისა, კონტრშეტევა გრძელდება.

რაც შეხება ხერსონს, აქ უკრაინული არმია პოზიციებს სულ უფრო იმაგრებს. მარცხით დამთავრდა ოკუპანტების ყველა მცდელობა, განედევნათ უკრაინელები დაკავებული პოზიციებიდან.

ხერსონსჩინაზე პოზიციების გამაგრებამ საშუალება მისცა უკრაინელებს, განეხორციელებინათ დარტყმები დროებით ოკუპირებულ ყირიმზე. ცეცხლშია გახვეული სევასტოპოლი, სიმფეროპოლი, ჯანკოი და ა.შ.

### დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

ოკუპატების რიგებში შემდეგ დანაკარგებია: ტანკები – 4.225; ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 8.205; არტილერია – 4.839; განადგურევულია 246.990 ოკუპანტი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ფრთხილად! უნიტაზში გველია!



ტიკ ტოკის მომხმარებელმა, სახელად კრისტინამ, თქვა, რომ ტუალეტში შესულმა თავდაპირველად უნიტაზში მყოფი გველი ვერ შენიშნა.

თავად ქალის მიერ გადაღებულ ვიდეოზე ჩანს, თუ როგორ არის მოკალათებული მის უნიტაზში მეტრ-ნახევარი სიგრძის პანტეროფისის სახეობის გველი. კრისტინა გაოგნებული დარჩა ამ ფაქტით იმის გამო, რომ მან ქვეწარმავალი მხოლოდ მას შემდეგ შენიშნა, როდესაც თავისი ბუნებრივი მოთხოვნილება დაიკმაყოფილა. ვიდეოში ისმის მისი შეძახილი: „მე ხომ ახლახანს მოვშარდე, მე ხომ ახლახანს მოვშარდე!"

ორ დღეში მის მიერ გადაღებულმა ამ ვიდეორგოლმა 13 მილიონი ნახვა მოაგროვა. მნახველების უმრავლესობა გაოგნებული აღმოჩნდა ნანახით და აღიარეს, რომ ასეთ სიტუაციაში აღმოჩენა აშინებთ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა" – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა" – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+" – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლანორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავებაშეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან განმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.


# კლოდ სორელი: საქართველოში მორაგბეთა პოტენციალი და ფიზიკური შესაძლებლობები დამხვდა, ტექნიკური თვალსაზრისით, ძალიან ცუდი სიტუაცია იყო

**გახსოვთ კლოდ სორელი? ეს ის ფრანგი სპეციალისტია, რომელიც საქართველოში 1996 წელს ჩამოვიდა, ქართველ მწვრთნელებსა და მოთამაშეებს რაგბის ანი-ბანი შეასწავლა, ხოლო ქართველ ლეგიონერებს გზა ფრანგული კლუბებისკენ გაუხსნა და საქართველო პირველ, 2003 წლის მსოფლიო თასზე გაიყვანა.**

**ახლა სორელი საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოშია. მასთან ინტერვიუ მსოფლიო რაგბის ქართული ვერსიის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.**

***– გავიხსენოთ 1996 წელი. რატომ გადაწყვიტეთ იმ რთულ პერიოდში საქართველოში ჩამოსვლა?***

– საქართველოში 1996 წელს ზაზა ქასაშვილისა და ბიძინა გეგიძის თხოვნით ჩამოვედი, რათა ქართული რაგბის აუდიტი ჩამეტარებინა. აქ ვნახე უდიდესი ენთუზიაზმი იმ ადამიანებში, რომლებიც რაგბში იყვნენ ჩართულნი. მაშინვე ვთქვი, რომ ამ საქმის მიტოვება არ შეიძლებოდა. ერთი მხრივ, იყო სურვილი და მისწრაფება, და მეორე მხრივ, დავინახე მოთამაშეები, რომლებიც გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემებით.

***– რა დაგხვდათ საქართველოში, რამაც აქ დარჩენა და მუშაობა გადაგაწყვეტინათ - ზოგადად, ნიჭი, თუ განსაკუთრებული თაობა?***

– მორაგბეთა პოტენციალი და ფიზიკური შესაძლებლობები. ტექნიკური თვალსაზრისით ძალიან ცუდი სიტუაცია იყო და მოთამაშეები ფიზიკურადაც არ იყვნენ სასურველ ფორმაში. მაგრამ ჰქონდათ კარგი მორაგბისთვის საჭირო ყველა მონაცემი.

***– რა იყო პირველი, რისი გამოსწორებაც დაიწყეთ?***

– როცა ჩამოვედი, დილის 4 საათი იყო და უკვე 10 საათზე რაგბის კავშირში ვიყავი. იქ 10 თუ 12 მწვრთნელი დამხვდა. თარჯიმნობას გია ჭუმბურიძე მიწევდა და დაფაზე დავწერეთ – რაგბის გაკვეთილი 1. დავიწყეთ საუბარი თანამედროვე რაგბზე, ნაშუადღევს გავედით მოედანზე, სადაც პირველად შევხვდი მორაგბეებს და იქ შემექმნა შთაბეჭდილება, რომელზეც ზევით მოგახსენეთ. მათ ჰქონდათ შესანიშნავი მონაცემები, მაგრამ ტექნიკური თვალსაზრისით ძალიან სუსტები იყვნენ.

მწვრთნელებთან საუბარი მეორე დღესაც გავაგრძელეთ. ისინი აქტუალურ შეკითხვებს მისვამდნენ და დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ურთიერთობა გონიერ ხალხთან მქონდა, რომლებიც თანამედროვე რაგბის საფუძვლებს ძალიან სწრაფად აითვისებდნენ. ჩვენი გაკვეთილები გაგრძელდა და მასზე დასწრების მსურველთა რაოდენობა სულ უფრო იზრდებოდა. ერთი კვირის თავზე იძულებული გავხდით, რომ ლოკომოტივის (ახლანდელი მიხეილ მესხი) სტადიონზე გადაგვენაცვლა, რადგან სივრცე არ გვყოფნიდა. მახსოვს, ბოლო შეხვედრას ტრიბუნებზე უკვე 70-80 კაცი ესწრებოდა და მაშინდელმა ხელმძღვანელობამ მითხრა, რომ ფული არ ჰქონდათ. ჩემი პასუხი იყო: არა უშავს, მოდით ეს ფული ერთად ვიშოვოთ. წინსვლის უმოკლესი გზა იყო, რომ დავწინაურებულიყავით საერთაშორისო რეიტინგში და მსოფლიო რაგბისგან მეტ დაფინანსებას მივიღებდით. სწორედ ამ დახმარებამ მოგვცა საშუალება, განვითარების კუთხით პირველი ნაბიჯები გადაგვედგა.

***– ქართული რაგბისა და საქართველოს ნაკრების წინსვლა მაშინ დაიწყო, როდესაც თქვენი ხელშეწყობით ქართველ მორაგბეებს გზა ფრანგული კლუბებისკენ გაეხსნათ. მაშინ თუ ფიქრობდით, რომ ეს ასეთი შედეგის მომტანი იქნებოდა?***

– კიპლინგის სიტყვებს გავიხსენებ – ეს გავაკეთე იმიტომ, რომ მეგონა შეუძლებელი იყო. ეს გამოწვეული იყო აუცილებლობით, რადგან სავარჯიშოდ არანაირი პირობები არ გვქონდა. ვვარჯიშობდით პარკებში, ავტოსადგომებზე, მოთამაშეთა ეკიპირება იყო საშინელი და ზოგიერთი მათგანი საკმარისი რაოდენობით საკვებსაც ვერ იღებდა. მათი სურვილი, - დიდი რაგბი ეთამაშათ, ძალიან სცილდებოდა მათსავე შესაძლებლობას და გადაწყდა, რომ ისინი საფრანგეთში გაგვეგზავნა. თავიდან ცაბაძე და რაფავა გავუშვით. მთლიანობაში, ფრანგულ კლუბებში 80-მდე მოთამაშე გავუშვით, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს არ გახლდათ წამყვანი კლუბები.

***– ბევრ ქვეყანაში გიმუშავიათ – ტუნისი, მაროკო, რუსეთი, მაგრამ ვერსად მიაღწიეთ ისეთ წარმატებას, როგორსაც საქართველოში. რა იყო ამის მიზეზი?***

– ამის მიზეზი ქართველების შინაგანი კულტურა, სარაგბო ღირებულებებისა და ტრადიციების პატივისცემა და გათავისებაა. ქართველ მოთამაშეებს, რომლებიც საფრანგეთის ჩემპიონატებში ჩაერთნენ, კლუბებისთვის პრობლემები არასდროს შეუქმნიათ. მათ თავგანწირვისა და თავდადებისთვის აფასებდნენ. ჩემი აზრით, სწორედ აქედან დაიწყო წარმატება. ყველა ის წარმატება, რომელსაც საქართველოს ნაკრებმა და მასთან ერთად მეც მივაღწიე, არის მოთამაშეების დამსახურება. ეს ყველაფერი მათმა სწორმა მიდგომამ განაპირობა. მორაგბეებს მოუწიათ სამშობლოს, საკუთარი ოჯახების დატოვება, უამრავი მსხვერპლის გაღება, რათა ქართულ რაგბს ამ წარმატებისთვის მიეღწია.

***– ბორდოში ისტორიულ თამაშს დაესწარით, რომელშიც საფრანგეთმა პირველად უმასპინძლა საქართველოს მსოფლიო თასს მიღმა. ამ დროს ფრანგი უფრო იყავით თუ ქართველი?***

– შეუძლებელია ჩემს სამშობლოს დავშორდე. ამავდროულად, მინდა გითხრათ, რომ ძალიან ამაყი ვიყავი იმ თამაშით, რომელიც ქართველებმა აჩვენეს.

***– თქვენი მწვრთნელობის პერიოდში საქართველოს ლუქსემბურგთან, ბულგარეთთან, შვეიცარიასთან და მსგავსი დონის გუნდებთან უწევდა თამაში. მაშინ თუ ფიქრობდით, რომ დადგებოდა დრო და საფრანგეთი ტესტმატჩის გასამართად მიგვიწვევდა?***

– გულახდილად რომ გითხრათ, ასეთი გიჟური ფიქრები მქონდა. სანამ საქართველოს ნაკრებს ჩავიბარებდი, კლუბთან ერთად ორჯერ ვიყავი საფრანგეთის ჩემპიონი და კარგად ვიცოდი რას წარმოადგენდა უმაღლესი დონე. ჩემთვის მალევე გახდა ნათელი, რომ ქართველ მორაგბეებს შეეძლოთ ამ დონეზე ასვლა. მაგრამ განვითარება არ დასრულებულა და დარწმუნებული ვარ, წინსვლა კიდევ იქნება.

***– როგორ ფიქრობთ, კიდევ რა დრო სჭირდება ქართულ რაგბს იმისათვის, რომ ტიერ 1 დონის სარაგბო ქვეყანა გახდეს?***

– ეს დამოკიდებულია იმ სამუშაოზე, რომლის ჩატარებასაც მოახერხებთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ დაახლოებით 5 წელიწადში, 2027 წლის მსოფლიო თასზე, შეგიძლიათ ტოლსწორად ეთამაშოთ ნებისმიერ მეტოქეს და საუკეთესო 8-10 გუნდს შორის მოხვდეთ.

***– იოსებ ტყემალაძემ სხვა ვეტერან მორაგბეებთან ერთად პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოში მიგიწვიათ. რას ფიქრობთ ამ ფორმატზე, რამდენად წაადგება ქართული რაგბის მომავალს და როგორი იქნება თქვენი პირველი რჩევა?***

– ძალიან აღელვებული ვარ, რადგან ცნობილ ქართველ ვეტერან მორაგბეებთან ერთად ამ საბჭოში მიმიწვიეს. ახლა უკვე ქართული პასპორტიც მაქვს, იმედია, იქ ისე მიყურებენ, როგორც ნამდვილ ქართველს! პირველ შეხვედრაზე ყველანი შევთანხმდით მთავარ პრიორიტეტზე – მთავარი არის ეთიკური მხარე. აუცილებელია, რომ სარაგბო ღირებულებები განვრცობილ და მიღებულ იქნას მთელ საქართველოში. მშობლები უნდა დავარწმუნოთ, რომ შვილის რაგბზე მიყვანით ისინი ხვდებიან მზრუნველ გარემოში, სადაც ზრუნავენ ბავშვების ჯანმრთელობაზე, განათლებაზე. რო-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# კლოდ სორელი: საქართველოში მორაგბეთა პოტენციალი და ფიზიკური შესაძლებლობები დამხვდა, ტექნიკური თვალსაზრისით, ძალიან ცუდი სიტუაცია იყო

დასაწყისი მე-6 გვერდზე

დესაც მორაგბე კარიერას ასრულებს, უნდა იცოდეს, რომ მასზე იზრუნებენ და მარტო არ დარჩება ცხოვრებისეული პრობლემების წინაშე. მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ რაგბზე შვილის მიყვანით, ის ღირსეულ ადამიანად აღიზრდება. ბავშვთა რაგბის განვითარება მთავარი პრიორიტეტია.

***– ხომ არ ფიქრობთ, რომ პროფესიულ რელსებზე გადასვლით რაგბის ღირებულებებმა გარკვეულწილად მნიშვნელობა დაკარგა და უკანა პლანზე გადაინაცვლა?***

– საკითხს ცოტა სხვანაირად შემოვაბრუნებდი – პროფესიონალიზმი არის დღევანდელი სპორტის აუცილებლობა. სპორტსმენი ვერ მიაღწევს უმაღლეს მწვერვალებს, თუ საქმეს პროფესიულად არ მიუდგება. რაგბი მოითხოვს სოლიდარობის დიდ გრძნობას. ამ სპორტში დევს ის ღირებულებები, რომელსაც ვერ გაექცევი. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რაგბის ღირებულებები არ გაქრება თვით პროფესიული რაგბის წიაღშიც.



***– უკვე გაეცანით იმ რეფორმებს, რომლებიც დაწყებულია ან იგეგმება ქართული რაგბის მომავალი განვითარებისთვის. რას ფიქრობთ მათ შესახებ და რომელ რეფორმას გამოარჩევდით განსაკუთრებულად?***

– პირველი, რაც ყველაზე მეტად მომეწონა, არის ის, რომ პრეზიდენტს აინტერესებს ყველას აზრი, ყველას უსმენს. ჯერჯერობით, მის მიერ წამოყენებული ინიციატივები სწორი მიმართულებით ვითარდება.

***– როდესაც საქართველოში მუშაობდით, სავარჯიშოდ ერთი მოედანიც არ გვქონდა, ახლა კი უკვე გვაქვს 27 მოედანი და დაანონსებულია 100 მოედნის მშენებლობის პროექტი.***

– მოედანი ზედმეტი არასდროსაა. ესაა ხანგრძლივი პროექტი და ძალიან მომწონს, რომ ის მთელ საქართველოზეა გათვლილი. შედეგად, დიდი ქალაქებიდან მოშორებით მცხოვრებ ადამიანებსაც ექნებათ რაგბის თამაშის შესაძლებლობა და ეს აუცილებლად გახდება შედეგის მომტანი.

***– თქვენ საქართველოს 7-კაცა ნაკრებსაც ავარჯიშებდით და წარმატებებიც გვქონდა - – 2001 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მე-10 ადგილი დავიკავეთ. რამდენად მნიშვნელოვანია 7-კაცა რაგბის განვითარება?***

– 7-კაცა რაგბის განვითარებაზე უარის თქმა, ჩემი აზრით, იყო რაგბის კავშირის წინა რამდენიმე ხელმძღვანელობის დროში განგრძობადი შეცდომა. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ახლანდელ პრეზიდენტს კარგად ესმის 7-კაცას განვითარების აუცილებლობა. ყველა დიდ სარაგბო ქვეყანას ჰყავს მოთამაშეები, რომლებიც 7-კაცას მეშვეობით განვითარდნენ. დღეს ისეთი ნაკრებები, როგორებიც ესპანეთი და პორტუგალია არიან, 7-კაცაში საქართველოზე გაცილებით ძლიერები გახლავან და ეს არანორმალურია. ამან შესაძლოა 15-კაცა ნაკრებსაც შეუქმნას პრობლემები. 7-კაცა ოლიმპიური სახეობაა და საქართველომ უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება, რათა ოლიმპიადაზე ითამაშოს. ვიცი, რომ საქართველოს 7-კაცა ნაკრების ბედი ახლა ორი ყოფილი უძლიერესი მოთამაშის – გია ლაბაძისა და ბესიკ ხამაშურიძის ხელშია. მათ ყველანაირად დავეხმარები, თუმცა 7-კაცას მთავარი პრობლემა ის არის, რომ საუკეთესო მოთამაშეებს არ აგზავნიან ამ გუნდში. აუცილებელია მწვრთნელებს გუნდში საუკეთესო მოთამაშეების აყვანის შესაძლებლობა ჰქონდეთ და, რა თქმა უნდა, ეს სრულ ჰარმონიაში უნდა იყოს 15-კაცა თუ სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებთან. რაგბი7 და მისი განვითარება უნდა იქცეს ერთ-ერთ პრიორიტეტად.

***– ბევრი ფიქრობს, რომ 7-კაცას, მოთამაშეთა სპეციფიკური მომზადებიდან გამომდინარე, სხვა კონტინგენტი სჭირდება.***

– ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები. ერთ მაგალითს მოვიყვან: ყველა უკანახაზელს, რომელიც ამჟამად საფრანგეთის ნაკრებშია, ზურგს 7-კაცას გამოცდილება უმაგრებს. კოვიდ-პანდემიის მიზეზით 7-კაცას ტურნირები გაუქმდა, რის გამო ფრანგმა მოშვიდკაცეებმა 15-კაცა რაგბში გადაინაცვლეს და ისინი თავ-თავიანთ კლუბებში გამორჩეულად კარგები არიან. არ არსებობს არავითარი წინააღმდეგობა 15-კაცა და 7-კაცა რაგბს შორის.

***– საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბზე და მის პერსპექტივებზე რას იტყვით?***

– მიმაჩნია, რომ საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბი შესანიშნავად მუშაობს და თამაშის ის დონე, რომელსაც მაყურებელს სთავაზობენ, ძალიან მაღალია. ასევე მიმაჩნია, რომ მოთამაშეებს, რომლებმაც უკვე დაასრულეს კარიერა, მიიღეს მაღალი დონის განათლება და აიღეს შესაბამისი დიპლომები, მაგალითად, დავით ზირაქაშვილს, აქვსენტი გიორგაძეს, გოდერძი შველიძეს, დავით ბოლგაშვილს და ა.შ., შეუძლიათ საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბის კიდევ უფრო გაძლიერება.

***– ხომ არ ფიქრობთ, რომ წარმატებული უცხოელი მწვრთნელის მოწვევით თამაშის ხარისხი კიდევ უფრო უკეთესი გახდება?***

– რა თქმა უნდა, საქართველოს ვერავინ აუკრძალავს ამა თუ იმ მიმართულების გასაძლიერებლად უცხოელი სპეციალისტის აყვანას, თუმცა, მე ვფიქრობ, რომ აღარაა აუცილებელი საქართველოს ჰყავდეს სრულად უცხოელებით დაკომპლექტებული სამწვრთნელო შტაბი, როგორც ჩემი, ან მილთონ ჰეიგის მწვრთნელობისას იყო. ქართველმა მწვრთნელებმა სადავეები საკუთარ ხელში აიღეს და ეს ძალიან კარგია, რადგან ქართულ რაგბს უნდა ჰქონდეს თავისი განსაკუთრებული იდენტობა. დღეს საქართველოს ნაკრები განვითარების იმ წერტილამდეა მისული, რომ მეტი განვითარებისთვის არ უნდა მოახდინოს სხვა გუნდების სათამაშო სტილის კოპირება. დღეს საქართველო ჩამორჩება დიდ სარაგბო ქვეყნებს, მაგრამ თუ გაიმეორებს იმას, რასაც სხვები აკეთებენ, მათ ვერასდროს დაეწევა. მან უფრო მეტი უნდა გააკეთოს, ვიდრე სხვებმა და ჩამოაყალიბოს ქართული რაგბის იდენტობა, რომელიც დაკავშირებული იქნება თქვენს ხასიათთან და ბუნებრივ თვისებებთან. აუცილებელია, გვქონდეს განვითარების საკუთარი გზა და დღეს ამის საშუალება გვაქვს.

***– ბოლო პერიოდის ქართული რაგბის ერთ-ერთი მთავარი მიღწევა „შავი ლომია", რომელიც უკვე ჩაერთო რაგბი ევროპის სუპერთასში. როგორ ხედავთ მის პერსპექტივებს?***

– გულახდილად რომ გითხრათ, ჩემი აზრით, ესაა საუკეთესო ინიციატივა, რომელიც უკანასკნელ ათწლეულში განხორციელდა. მეტსაც გეტყვით – კარგი იქნება, თუ უახლოეს პერიოდში მეორე ფრენჩაიზიც გაკეთდება, რომელსაც ახალგაზრდა, ნიჭიერი მოთამაშეების მიღების შესაძლებლობა ექნება. ამით სწრაფად მოხდება ქართული შიდა რაგბის დონის აწევა. ახლა მნიშვნელოვანია, რომ რაგბი ევროპამ ამ გუნდებს გაუხსნას გზა უფრო ძლიერი ევროპის საკლუბო ტურნირებისკენ.

# ბაიერნისა და მამარდაშვილის თემა ისევ აქტუალური გახდა



დიდი შანსია საქართველოს ნაკრების მეკარის, გიორგი მამარდაშვილისა და გერმანული ბაიერნის შესაძლო ტრანსფერი ისევ აქტუალური გახდეს.

საქმე ის არის, რომ მამარდაშვილის ამჟამინდელი კლუბი ვალენსია ჩვენებურის სატრანსფერო ფასს, რომელიც ასე „აფრთხობდა" ბავარიელებს. აქედან გამომდინარე, გერმანული მედია ვარაუდობს, რომ ბაიერნი მამარდაშვილის ტრანსფერს ისევ დაუბრუნდება.

თუმცა, ფასის გარდა არის კიდევ რამდენიმე დეტალი, რაც ბაიერნს ამისკენ უბიძგებს. საქმე ის არის, რომ ბაიერნის ერთი მეკარე, ალექსანდრ ნუბელი შტუტგარტში უკვე გადავიდა, ხოლო იან ზომერი ინტერში გადასვლასთან ახლოს არის.

გერმანული მედიის ინფორმაციით, მიუნხენელების სიაში სამი საუკეთესო კანდიდატია – დევიდ რაია, ბონო და გიორგი მამარდაშვილი.

გავყვეთ რიგითობით: ბრენტფორდის 27 წლის მეკარე რაია მიუნხენში გადასვლაზე უარს ამბობს. ესპანელი ბაიერნს იჯარით სურს, რაც მეკარის ინტერესებში არ შედის; ბონო, სევილიას მეკარე ბაიერნის გარდა პარი სენ-ჟერმენსაც სურს. ფული პარიზელებს მეტი აქვთ და, შესაძლოა, ბავარიელებს ამით აჯობონ; დაგვრჩა მამარდაშვილი...

# დემბელეს წასვლა ბარსელონას აწყობს

თითქმის 100%-ით გადაწყვეტილია, რომ უსმან დემბელე ბარსელონას დატოვებს. ეს იმის მიუხედავად, რომ მისი 50 მილიონ ევროდ გამოსყიდვის ვადა ამოიწურა.

ფრანგი ფეხბურთელი პარი სენ-ჟერმენში გადადის, რომელიც, ფინანსურად ბარსელონაზე უკეთეს პირობებს სთავაზობს.

ფრანგული მედიის ცნობით, პარიზულ კლუბში უსმანის წლიური ანაზღაურება გადასახადების გადახდის შემდეგ 20 მილიონი ევრო იქნება. ეს დაახლოებით 3,5-ჯერ მეტია იმაზე, რასაც ბარსელონაში იღებს.

„ბლაუგრანაში" დემბელეს ასაღები ხელფასი 6 მილიონ ევროზე ოდნავ ნაკლებია, თუმცა, დაახლოებით მილიონნახევრის ბონუსები ემატება. გადასახადების ჩათვლით ბარსას 26 წლის ფრანგი შემტევის შენახვა წელიწადში დაახლოებით 16 მილიონი ევრო უჯდება.



ამხელა სხვაობის მიუხედავად ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ დემბელეს პსჟ-ში გადასვლის ერთადერთი მოტივაცია ფულია, რადგან ცნობილია, რომ ცოტა ხნის წინ მან არაბული ალ ნასრის გაცილებით მიმზიდველ შეთავაზებაზე უარი თქვა.

რას მისცემს ბარსელონას დემბელეს წასვლა? ჟოან ლაპორტამ იცის, რომ ჟოაუ ფელიში ჩავი ერნანდესის პრიორიტეტებს შორის არის და დემბელეს პოტენციური ტრანსფერი ბერნარდუ სილვას შეძენის შანსებს აჩენს.

ესპანური მედია წერს, რომ ჩავის პირველი არჩევანი სწორედ პორტუგალიელია, მაგრამ მანჩესტერ სიტისთან მოლაპარაკებები მარტივი არ იქნება. ალტერნატიული ვარიანტი ჯოვანი ლო სელსოა.

კიდევ ერთი ცნობით, ჩავი ერნანდესმა ბერნარდუს სთხოვა, რომ ბარსელონას დაელოდოს, რადგან კლუბი მის ტრანსფერზე მუშაობს.

მარჯვენა მცველის პოზიციაზე კი, კატალონიური პრესის თანახმად, ჩავის პრიორიტეტი ჟოაუ კანსელუა და არა ივან ფრესნედა. არჩევანის ამ უკანასკნელზე შეჩერების შემთხვევაში, ბარსა ფეხბურთელს გაანათხოვრებს. სამწვრთნელო შტაბს დაცვის მარჯვენა ფლანგზე უფრო გამოცდილი ფეხბურთელი სურს.

ასევე, დემბელეს წასვლის შემთხვევაში, ბარსელონამ, შესაძლოა, ვიტორ როკეს ამ ზაფხულშივე დამატება სცადოს, მიუხედავად იმისა, რომ ატლეტიკო პარანაენსესთან შეთანხმების მიხედვით ბრაზილიელი ტალანტი ბარსას 2024 წლის იანვარში უნდა შემოუერთდეს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

## ვარდო აკობიას ხსოვნას



2023 წლის 2 აგვისტო შენი დაბადების დღეა – 105 წელი შეგისრულდებოდა. უბედნიერესი შვილი ვიქნებოდი, დღესაც რომ გვერდით მყოლოდი. როგორ გიხაროდა სამსახურში ჩემი წარმატებები, საბჭოთა პერიოდში, როცა კარგ თანამდებობაზე დანიშვნა ფულთან ასოცირდებოდა, შენ, უფულომ, მე აფხაზეთის საქ.ბაკალეას სამმართველოს უფროსად მიხილე, მერე აფხაზეთის სამხედრო ვაჭრობის უფროსად. ჭკვიანი ბიჭი მყავსო, – გიხაროდა შენ, მეც.

სიხარულს საზღვარი ჰქონია თურმე.

22 წელია ცალ-ცალკე ვცხოვრობთ – შენ ზეცაში, მე კი ცის ქვეშ, არადა, როცა შენ ცოცხალს გიყურებდი, ვფიქრობდი, უშენოდ ერთი წუთი არ მეცოცხლა.

რა მშიშრები ვართ, შვილები?..

მე რომ ადრე წავსულიყავი – სამოთხეში ან ჯოჯოხეთში, შენ ერთი წამითაც არ დაფიქრდებოდი, თან გამომყვებოდი, მე კი?.. „დედის გული ღრმა უფსკრულია, რომლის სიღრმეშიც შვილები ყოველთვის ვპოულობთ პატიებას".

მაპატიე უშენოდ ჩემი სიცოცხლე, რომელიც არსებობაა, მხოლოდ იმიტომ, რომ შენს ლამაზ სულს ვეფერო შენთან მოსვლამდე.

შვილი ნოდარ (იგრა) ხასაია

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სიკო დოლიძის კინოკომედია; 2. ესპანური დილის სერენადა; 3. პირი, რომელიც განაგებს გემების დატვირთვა-გადმოტვირთვას ნავსადგურში; 4. არქტიკის ნორვეგიელი მკვლევარი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 5. პროგრესის მოწინააღმდეგე ადამიანი; 10. ბრაზილიური არაყი; 11. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 12. ღვინისა და ლუდის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 13. ბავშვთა გასართობი ცენტრი მთაწმინდის პარკში; 16. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატლანტის აეროპორტი; 17. პოლონური სამეჯლისო ცეკვა; 19. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 21. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ხორვატიაში; 23. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ამერიკული ფირმა.

**თარაზულად:** 6. გამოქვაბულში მცხოვრები პირველყოფილი ადამიანი; 7. სპარსული ლეგენდების, თქმულებების, მითების კრებული; 8. სამკაულების დასამზადებლად გამოყენებული შავი ფერის ფისიანი ქვანახშირი; 9. ჩინური ნავთობკომპანია; 14. ირლანდიური ჯინი; 15. სერბი კინორეჟისორი; 18. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 20. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 22. ისტორიული მოედანი პარიზში; 24. თვალის დაავადება, ახლომხედველობა; 25. ძვირფას ქვებზე მხატვრულად კვეთის ხელოვნება; 26. წყლით სამკურნალო აბაზანა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. თურინჯი; 2. ბორისფენი; 3. ფორსინგი; 4. კაიზერი; 5. ფაველა; 9. პუებლო; 11. მანტისა; 12. ფიუსტა; 14. ღერღედი; 18. ომეგა; 19. უწერა.

**თარაზულად:** 4. კულუხი; 5. ფიტოფაგი; 6. ტოლჩა; 7. ლიგნიტი; 8. პიკაპი; 10. ასთმა; 13. ჯულელი; 15. ფაცერი; 16. გეტა; 17. კიტო; 20. ლვანლი; 21. საფარა; 22. ზუგდიდი; 23. რიკოთი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ურთხელი; 2. ეპისტოლე; 3. აგრონომია; 4. ანანასი; 5. კაბრიოლეტი; 10. პოკერი; 11. მაჰარაჯი; 12. ბაიდენი; 13. აზბესტი; 16. ხორნაბუჯი; 17. სუვენირი; 19. არქაიზმი; 21. პედრი; 23. თლაშო.

**თარაზულად:** 6. არქიპელაგი; 7. ანაკლია; 8. ბენეტი; 9. ანდამატი; 14. უზუნდარი; 15. სპილბერგი; 18. ჰიჯრა; 20. კურიერი; 22. თითბერი; 24. მელასა; 25. ლუციფერი; 26. ლაშარი.

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge


ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

2 აგვისტო

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.6215 | ევრო — 2.8768 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3555 | 100 რუსული რუბლი — 2.8575 |

**ამინდის პროგნოზი 2 აგვისტოსათვის**




## მიშო სულუხია: „სცენა, ალბათ, ის ადგილია, სადაც ცხოვრებისეული და ყოფითი ვითარება სრულდება“



მომღერალ მიშო სულუხიასთვის სცენა, ალბათ, არის ის ადგილი, სადაც ცხოვრებისეული და ყოფითი ვითარება სრულდება და ირეალური სამყარო იწყება:

– სოტოგრანდეში გამართულ საღამოს 30-მდე ქვეყნის დელეგაცია დაესწრო. მათ შორის საპატიოდ წარადგინეს საქართველო, რასაც განსაკუთრებული ოვაციებით შეხვდა მაყურებელი. იდუმალი სიჩუმე იდგა რუსეთის გამოცხადებისას.

სცენა, ალბათ, არის ის ადგილი, სადაც ცხოვრებისეული და ყოფითი ვითარება სრულდება და ირეალური სამყარო იწყება.

ესპანეთში მნიშვნელოვანი საღამო ერთი სიმღერით გავხსენი. პირველად ვიფრინე ამდენი ერთი სიმღერის გამო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ღირს.

პ.ს. ხელებს და ფეხებს იმიტომ ვიქნევ ხოლმე სიმღერის დროს, რომ ერთი სხეული არ მყოფნის იმ ენერგიის გადმოსაცემად, რაც ჩემში ტრიალებს და მაღონებს ხოლმე და გამომკვნესის. თავიდან მყოფნის, მაგრამ მერე, აი, აფეთქებები რომ მეწყება, ველარ ვუმკლავდები. არც 1 დღე არ მყოფნის იმისთვის, რომ ეს ყველაფერი დავხარჯო და მერე მშვიდად დავიძინო ხოლმე. ამიტომ მძინავს ალბათ 3-4 საათი დღე-ღამეში. ჩემი აზრით, არცერთი ცხოვრება მეყოფა იმის გადმოსაცემად, რაც ჩაფიქრებული მაქვს და, აი, მანდ მერხევა და მაგაზე ფიქრში მოვიწყენ ხოლმე.

## გენრი დოლიძეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს



პოეტ გენრი დოლიძეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. იგი ბათუმში პოლიციამ იმ დროს დააკავა, როცა თანამოაზრეებთან ერთად რუსული გემის შემოსვლას აპროტესტებდა. მისი ადვოკატის თქმით, პოეტს დაკავებისას პოლიციამ სცემა. გენრის დაზიანებები სახესა და ფეხებზე აღენიშნება.

**ნიკა ჩერქეზიშვილი, პოეტი:**

– გენრი დოლიძე დააკავეს რუსული საკრუიზო გემის ბათუმში შემოსვლის გაპროტესტების დროს! გენრი, ცუდად ნამდვილად არ ჩაივლის შენი სულისკვეთება და აუცილებლად მოიტანს შედეგს ჩვენი ქვეყნისთვის! რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, სრული სოლიდარობა შენ და ყველა დაკავებულს! საქართველოში რუსეთს მომავალი არ აქვს!

**დავით შემოქმედელი, პოეტი:**

– ბათუმში საპროტესტო აქციაში მონაწილეობის გამო სამართალდამცავების მიერ დაკავებულია პოეტი გენრი დოლიძე, ვთხოვთ საქართველოს ხელისუფლებას, დაუყონებლივ გათავისუფლდეს!

დავით შემოქმედელი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი. ქართული კულტურის დესპანი.

## 500 კინოფირი რესტავრირებულია

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის რესტავრაციის ლაბორატორიაში ბოლო 6 თვეში რესტავრაცია ჩაუტარდა ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების 14.357 ფურცელს, 40-მდე ფოტოს, 41 ტექნიკურ ნახაზს და სხვა საარქივო დოკუმენტებს.



ამ პერიოდში რესტავრირებული იყო ქართველი მეფეების, სასულიერო პირებისა თუ სახელმწიფო მოღვაწეების 77 ისტორიული საბუთი.

ამასთან, საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500 კინოფირსა და 80 ფოტოდოკუმენტს.

მიმდინარე წელს ეროვნული არქივის რესტავრატორები აქტიურად მუშაობდნენ XII-XIII საუკუნეების ქურაშის ოთხთავის სახარებაზე, რომელიც ეტრატზეა შესრულებული და პალიმფსესტურ ფურცლებს შეიცავს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## იუმორი

კლიენტი ოფიციანტს უუბნება:

– ეს რა საშინელებაა, ტარაკანა გადამეყლაპა! ახლა რა მომივა?!

– მერე, რა პრობლემაა?! თქვენ ხომ ვეგეტარიანელი არ ხართ!

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– შენ, საჭმლისა და სექსის გარდა, სხვა რამე გახსოვს?

– მართალი ხარ, ლუდის ყიდვა დამავიწყდა!

●●●

თუ ტელევიზორის ხმას გამორთავთ და სიმღერა „კომედიანტებს“ ჩართავთ, წინასაარჩევნო დებატები გაცილებით საინტერესო და სანახაობითი გამოვა.

●●●

მალაზიაში მამაკაცი გამყიდველს ეუბნება:

– მინდა, სარვამარტო საჩუქარი შევარჩიო!

– რაიმე ძვირადღირებული გინდათ. მართალი ვარ?

– ასე რატომ ფიქრობთ?

– აბა, დღეს უკვე 27 მარტია...

●●●

მაღალი თანამდებობის პირი, რომელიც ორ ფეხით მოსიარულეს დაეჯახა, მოსამართლეს ეკითხება:

– როგორი იქნება განაჩენი?

– იმას, რომელმაც თქვენი მანქანის საქარე მინა თავით გატეხა, ხუთ წელს მივუსჯით თავდასხმისთვის, ხოლო იმას, რომელიც ბუჩქებში გადავარდა, კიდევ ერთ წელს დავუმატებთ შემთხვევის ადგილიდან გაქცევის მცდელობისთვის.

●●●

ბიოლოგიის გაკვეთილზე მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

– აბა, გვითხარი, როგორ მრავლდებიან ჭიაყელები?

– დაყოფით.

– უფრო ზუსტად?

– ნიჩბით.

●●●

ფეხბურთის ფედერაციაში თათბირია. ამ დროს ერთ-ერთი ჩინოსანი ახალ გაზეთს ათვალიერებს და უცბად შენიშნა სტატია სათაურით: „მალაიზიის არქიპელაგის ერთ-ერთ კუნძულზე აქამდე უცნობი ტომი აღმოაჩინეს“.

– მეგობრებო! – წამოიძახა გახარებულმა, – მგონი მივაგენი ისეთ ნაკრებს, რომელთანაც ჩვენი გუნდი ჯერ არ დამარცხებულა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მზია ორველაშვილი „ჩემი ცოლის დაქალებში“ მიიწვიეს



მოცეკვავე მზია ორველაშვილი, რომელიც ფართო საზოგადოებამ „ცეკვავენ ვარსკვლავებიდან“ გაიცნო, ტელეკომპანია „ფორმულას“ სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“ მიიწვიეს.

მზია სერიალის ახალ მე-19 სეზონში გამოჩნდება. ტელემაყურებელს მისი ნახვა 4 აგვისტოდან შეეძლებათ:

– 4 აგვისტოდან უყურეთ აუცილებლად „ჩემი ცოლის დაქალებს“. დიდი სიურპრიზები გელით ჩემი მონაწილეობით. ასე რომ, არ გამოტოვოთ. დანარჩენს საიდუმლოდ მოვიტოვებ.

## მეგი გოგიტიძის ვლადიკავკაზში დაგეგმილი კონცერტი გაუქმებულია



მომღერალ მეგი გოგიტიძის ვლადიკავკაზში დაგეგმილი კონცერტი, რომელიც აგვისტოში უნდა ჩატარებულიყო, გაუქმებულია.

საღამო ვლადიკავკაზის ერთ-ერთ რესტორანში უნდა ჩატარებულიყო. კონცერტი დროებით ოკუპირებულ სამაჩაბლოში მოქალაქეებმა და ე.წ. პოლიტიკოსებმა გააპროტესტეს:

– სამხრეთ ოსეთის ტრაგედიის 15 წლისთავზე, ასეთი კონცერტის დაგეგმვა მკრეხელური და დამცინავია, – ასეთია დროებით ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. ოპოზიციის პოზიცია.

## სალომე არშბა „იმედიდან“ წავიდა



ტელეწამყვანი სალომე არშბა ტელეკომპანია „იმედის“ თანამშრომელი აღარ არის. ბახვა ბრეგვაძის შემდეგ, ტელევიზია მანაც დატოვა:

– „დილის შოუს“ ბოლო გადაცემა გავიდა ეთერში, მიუხედავად იმისა, რომ „იმედიდან“ წასვლის გადაწყვეტილება რამდენიმე თვის წინ მივიღე და ყველა საქმის კურსში იყო, ვიცოდი, რომ დღევანდელი დღე ძალიან რთული იქნებოდა, ასეც არის. მიჭირს, მაგრამ ვხვდები, რომ ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა იცი, რომ ცვლილების დროა, თან რადიკალური ცვლილების.

მადლობა „იმედს“ ამ წლებისა და შესაძლებლობისთვის, მადლობა იმ „იმედელებს“, რომლებიც სულ გვგულშემატკივრობდნენ და ახლაც ასე გრძელდება, უდიდესი მადლობა მაყურებელს, თქვენი სიყვარულის გარეშე არაფერი გამოვიდოდა და მართლა უდიდესზე უდიდესი მადლობა ჩემს გუნდს, სუპერპროფესიონალებსა და საუკეთესოებს.

ჩვენ ყველაზე კარგად ვიცით, რა ხდებოდა კადრს მიღმა და კულისებში. ეს ეტაპიც დასრულდა, იმედია, ცხოვრება უკეთეს თავგადასავლებს შემომთავაზებს, ახლა კი ცოტას დავისვენებ ტელევიზიისგან და შაბათ-კვირა ძილის დღეებად გამომიცხადებია.

## თამაზ ტყემალაძის საავტორო წიგნი გამოცემულია



მწერალ თამაზ ტყემალაძის დაბადების დღეზე მისი საავტორო წიგნი „შეხვედრა მზის დისკოში“ გამოიცა. კრებულის წარდგინება ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა.

ორტომეულის პრეზენტაციას თამაზ ტყემალაძის ოჯახის წევრები, მეგობრები, კოლეგები და მოსწავლეები ესწრებოდნენ.

„შეხვედრა მზის დისკოში“ მწერლის პუბლიცისტურ ნაშრომებს აერთიანებს და მეგობრების ინიციატივითა და მხარდაჭერით გამოიცა.

## სანდრო გეგეჭკორმა პირველი კომპაქტ დისკი ჩაწერა



პიანისტმა სანდრო გეგეჭკორმა თავისი პირველი კომპაქტ დისკი ჩაწერა, რომელიც მსმენელისთვის ხელმისაწვდომი უახლოეს მომავალში იქნება:

– ბედნიერი დღეა, ისეთი ფანტასტიური ამბავი უნდა გაგიზიაროთ. ძალიან მალე ჩემი პირველი კომპაქტ დისკი გამოვა, რომელიც „სოლფა რექორდინგსმა“ ჩაწერა. მასში გაერთიანებული იქნება ბახის, ლისტის, რახმანინოვისა და დე ფალიას ნაწარმოებები. დისკი ასევე ხელმისაწვდომი იქნება ყველა ონლაინ პლატფორმაზე. გამოქვეყნების თარიღი – 4 აგვისტო! დაგველოდეთ!

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. რაიმეს მარაგი; 2. მხარე გერმანიაში; 3. ტრაგიკულად დაღუპული ქართველი მეან-გინეკოლოგი, აკადემიკოსი; 4. საგმირო ეპოსი; 5. ინდიელისა და ევროპელის ქორწინების შთამომავალი; 9. ჩქარტემპიანი ამერიკული ცეკვა; 11. კინოკომედია „დაკარგული სამოთხის“ რეჟისორი; 12. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 14. ოპერეტების „სილვას“, „მარიცას“ მუსიკის ავტორი; 18. ხმაურიანი ბრბო; 19. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი.

**თარაზულად:** 4. ამერიკული ჯიპი; 5. ფერწერული ტილო „შავი კვადრატის“ ავტორი; 6. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 7. სხეულის ხელოვნური ნაწილი; 8. კომბინაცია პოკერში; 10. მდინარე გერმანია-პოლონეთის საზღვარზე; 13. სპეციალური მიწაყრილი სარკინიგზო რელსების დასაგებად; 15. გადასახადების ამკრეფი დაწესებულება ძველად საქართველოში; 16. ზღვის წყალმცენარეებისგან მიღებული ქიმიური ელემენტი; 17. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 20. ომონიმებით გარითმული ძველებური ლექსი; 21. სომხური ცეკვა; 22. გრძელდრუნჩიანი აფრიკული მაიმუნი; 23. კუთხე საქართველოში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**